ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ოთხშაბათი, 24 ივნისი 1936 წ. № 145 (4604)

სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ მატერიალური უზრუნველყოფის უფლება მოხუცებულობაში, აგრეთვე ავადმყოფობისა და შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში.

ეს უფლება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ხარჯზე მუშებისა და მოსამსახურეების სოციალური დაზღვევის ფართო განვითარებით, უფასო სამედიცინო დახმარებით, მშრომელთა მოსახმარებლად კურორტთა ფართო ქსელის გადაცემით.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტიდან

ბიბლიოთეკა

გაუთანასწორდით მოწინავეებს პარკის დამზადებაში!

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მეაბრეშუმეობა სწრაფი აღმავლობის გზით მიდის. შარშან საქართველომ პირველად შეასრულა პარკის დამზადების რესპუბლიკური გეგმა. დამზადების მიმდინარეობა გვიჩვენებს, რომ მეაბრეშუმეობას გეგმის შესრულება წელსაც უზრუნველყოფილი იქნება. კონტრრევოლუციონერთა, მავნებელთა დამანგრეველი მუშაობის აღკვეთისა და მტკიცე სათესლე მეურნეობის შექმნის დარგში პარტიისა და ხელისუფლების მიერ გაწეულმა დიდმა მუშაობამ უზრუნველყო გამარჯვება მეაბრეშუმეობაში, „აბრეშუმის სოციალიზმის" მშენებლობაში.

გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად შემცირებული და მთელ რიგ რაიონებში თითქმის სრულიად მოსპობილია ჭიის დაავადება და დალუპვა. მაგალითად, შარშან თუ მთელ რესპუბლიკაში დაავადებისა და მოუვლელობისაგან დაიღუპა 8000 კოლოფამდე აბრეშუმის ჭია, წელს ჭიის დაავადება და დალუპვა არ აღემატება 1500 კოლოფს.

ამგვარად, ჩვენ მტკიცე ნაბიჯით მივდივართ იქითკენ, რომ საინკუბაციო მრეწველობის კიდევ უფრო გაჯანსაღებისა და ჭიის მოვლის სამაგალითოდ, კულტურულად დაყენების გზით სავსებით მოვსპოთ ჭიის დაზიანებისა და დალუპვის შემთხვევები.

წელს რაიონებს მიცემული აქვთ კოლოფზე პარკის გამოსავლიანობის შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდებული ნორმა. გასულ წელს თუ კოლოფზე პარკის მოსავლიანობის საშუალო ნორმა რესპუბლიკაში 29 კილოგრამს არ აღემატებოდა, წელს იგი გადიდებულია 38 კილოგრამამდე.

მისცა რა აბრეშუმის მოსავლიანობის ასეთი დავალება, საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებს გადაჭრით გაეძლიერებინათ ყურადღება მეაბრეშუმეობისადმი, უზრუნველეყოთ ჭიის სანიმუშო მოვლა და ამით მიეღწიათ გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

პარკის დამზადების ივნისის პირველი ნახევრის ცნობები გვიჩვენებს, რომ ბევრმა რაიონმა ამ დავალების შესრულებაში სანიმუშო მაჩვენებლებს მიაღწია. აბრეშუმის ჭიის მოვლისა და პარკის დამზადების მაჩვენებელთა შესრულების მხრივ წელს განსაკუთრებით დაწინაურდა ქუთაისის რაიონი. სახელმწიფო გეგმით ქუთაისის რაიონს კოლოფზე უნდა მიეღო 39 კილოგრამი პარკი. ფაქტიურად კი რაიონმა 19 ივნისისათვის უკვე გადაჭარბებით შეასრულა პარკის დამზადების გეგმა და უზრუნველყო კოლოფზე 51 კილოგრამი საუკეთესო ხარისხის პარკის მიღება.

ვადამდე შეასრულა დამზადების გეგმა აბაშის რაიონმაც, რომელსაც წინათ ყოველთვის სამარცხვინო გარღვევა ჰქონდა ამ საქმეში. გეგმის შესრულებას უახლოვდებიან წულუკიძის, სამტრედიის და ლანჩხუთის რაიონებიც.

რითი უნდა აიხსნას წელს ქუთაისის რაიონის ბრწყინვალე გამარჯვება მეაბრეშუმეობის გეგმის შესრულებაში? მხოლოდ იმით, რომ იქ სამაგალითოდ იყო დაყენებული ჭიის მოვლა და კვება. ქუთაისის რაიონში არ დაკმაყოფილებულან აბრეშუმის ჭიის მხოლოდ დარიგებით, როგორც ეს ზოგიერთ სხვა რაიონში ხდება. მთელი ყურადღება იქ მიქცეული ჰქონდა მეაბრეშუმეთათვის ყოველდღიურ დახმარებას ჭიის წესიერად მოვლისა და შეუფერხებელი კვების უზრუნველსაყოფად. ქუთაისის რაიონში აბრეშუმის ჭიას საკვები არ დაჰკლებია, მიუხედავად იმისა, რომ საკვების ადგილობრივი მარაგი მათ არ ჰყოფნიდათ და თუთის ფოთოლი შემოჰქონდათ სამეგრელოსა და აფხაზეთის მორეული რაიონებიდან.

და თუ მიუხედავად ამ დაბრკოლებისა, წელს რაიონმა მეაბრეშუმეობის გეგმის შესრულების მხრივ რესპუბლიკაში პირველი ადგილი დაიკავა, ეს საქ. კ. პ.(ბ) ქუთაისის ქალაქკომის ორგანიზატორობასა და ოპერატიული ხელმძღვანელობის უნარს უნდა მიეწეროს.

ქუთაისის და აბაშის რაიონების გამარჯვება, აგრეთვე იმ მოწინავე რაიონების მაჩვენებლები, რომლებიც გეგმის შესრულებას უახლოვდებიან, ამტკიცებს რომ წელს ყველა რაიონს აქვს პარკის დამზადების დავალებათა შესრულების შესაძლებლობა და იგი უნდა შესრულდეს კიდეც რესპუბლიკის ყველა რაიონსა და სოფელში.

წელს არაფრით არ შეიძლება გამართლებულ იქნას პარკის დამზადების გეგმის შეუსრულებლობა: მეაბრეშუმეებს აქვთ ძლიერი სტიმული, აგრომომსახურება უზრუნველყოფილია, თესლის ხარისხიც უდავოდ კარგი იყო, კონტრაქტაციის პირობები საუკეთესოა და თუ, მიუხედავად ყოველივე ამისა, რომელიმე რაიონი პარკის დამზადების გეგმას ჩაშლის, ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ რაიონის ხელმძღვანელობას არ შესწევს უნარი მიმდინარე სამუშაოები გეგმიანად შეათავსოს და უზრუნველყოს ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს დავალებათა შესრულება.

მეაბრეშუმეობის შეუფასებლობის ფაქტები წელს იყო ჩოხატაურის რაიონში. აქ „იერიშობანას" წესით ყველა მეაბრეშუმე ქალი გაჰყავდათ ჩაის კრეფაზე და ბევრგან სრულიად უპატრონოდ სტოვებდნენ აბრეშუმის ჭიას უკანასკნელი ასაკის ყველაზე უფრო პასუხსაგებ მომენტში. ასეთივე ფაქტები, თუმცა უფრო ნაკლები მასშტაბით, იყო ლაგოდეხის რაიონსა და აფხაზეთშიც.

რესპუბლიკის მაღლობ ადგილებში ჯერ კიდევ მიდის ჭიის გამოკვება. ამ ადგილებში საჭირო იქნება განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოვლისა და წესიერი კვების საქმეს. იქ კი, სადაც ახვევა დამთავრებულია ან მთავრდება, მთელი ძალები გადასროლილ უნდა იქნას დამზადების ოპერატიული გეგმის შესრულებაზე. დამზადების ოპერაციებში აჩქარება, რომელსაც შედეგად მოსდევს პარკის დაზიანება და ხარისხის დაცემა, საჭირო არ არის, მავნეა. უნდა მივაღწიოთ გეგმების შესრულებას არა მარტო კილოგრამობით, არამედ მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებითაც.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მეაბრეშუმეებთან ანგარიშის გასწორებას და იმ სტახანოველთა და მოწინავეთა დაჯილდოვებას, რომლებიც პარკის ჩაბარების გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ. სასწრაფოდ უნდა აღმოიფხვრას მეაბრეშუმეებთან ანგარიშის გასწორების გაჭიანურება, რასაც ვხვდებით ჩხოროწყუს, წალენჯიხის და აფხაზეთის რაიონებში.

ქუთაისისა და აბაშის რაიონების მაგალითების მსგავსად, მოველით მეაბრეშუმეობის ყველა რაიონის გამარჯვებათა ცნობებს პარკის დამზადების სახელმწიფოებრივ დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების შესახებ!

ტფილისის საბავშვო რკინიგზის მშენებლებს

ვულოცავ საბავშვო რკინიგზის ნორჩ მშენებლებს მისი არსებობის წლისთავსა და მეორე რიგის პირველი რგოლის მშენებლობის დამთავრებას. გისურვებთ შემდგომს წარმატებებს.

ლავრენტი ბერია.

ბათომის პარტიული აქტივის კრება

20 ივნისს, საღამოს, ბათომის ქალაქის თეატრში საქ. კ. პ. (ბ) ა-კ სამხარეო კომიტეტის მდივნის ამხ. ს. კუდრიავცევის მონაწილეობით შესდგა ქალაქის პარტიული აქტივის კრება, მიძღვნილი საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგების განხილვისადმი.

კრების გახსნისას საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ლორთქიფანიძემ გააკეთა ინფორმაცია დიდი პროლეტარული მწერლის მაქსიმ გორკის გარდაცვალების შესახებ. კრებამ ფეხზე ადგომით პატივისცა გენიალური მხატვრის, მშრომელთა თავდადებული მეგობრის ხსოვნას.

მოხსენებით საქ. კ. პ. (ბ) ივნისის პლენუმის შედეგების შესახებ გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ა. გეგეჭკორი. თავის შინაარსიან მოხსენებაში ამხ. გეგეჭკორმა ცენტრალური ადგილი დაუთმო ახალი კონსტიტუციის პროექტს, რომლის შემომქმედი და სულისჩამდგმელია ამხ. სტალინი.

მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 16 კაცმა — ამხ. ლოარსაბოვმა (სავაგონო დეპო), მექართველიშვილმა (ბულო), ჭკორიძემ (აწჰესი), მეგრელიძემ (ბათომის ნავთსახდელი ქარხნები), ლორთქიფანიძემ (ცაკი), ჩხაიძემ (ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე), თაფლაშვილმა, პანკეევმა და სხვ.

ლაპარაკობდნენ რა ამიერ-კავკასიის ფედერაციის შესახებ, კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სწორი და დროულია ა-კ ფედერაციის ლიკვიდაცია, რასაც კონსტიტუციის პროექტი ითვალისწინებს და რომ ა-კ ფედერაციამ ისტორიული როლი ითამაშა ამიერ-კავკასიის ხალხთა დიადი მეგობრობის განმტკიცებაში და უზრუნველჰყო ნაციონალურ რესპუბლიკათა სამეურნეო და კულტურული ძლიერების აყვავება და ზრდა. ისინი ერთხმად აღნიშნავდნენ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა მებრძოლი ხელმძღვანელის ამხ. ლ. ბერიას როლს, რომლის ხელმძღვანელობითაც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკათა და მხარეთა რიგში ჩადგნენ.

ყველა ორატორი თავის გამოსვლაში ლაპარაკობდა, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაძლიერდეს რევოლუციური სიფხიზლე კლასობრივი მტრის მიმართ, გაჩაღდეს ბრძოლა კონტრრევოლუციური ტროცკისტულ-ზინოვიევურ ნაბოლართა ნამსხვრევებისა და ნაციონალ-უკლონისტური ელემენტების წინააღმდეგ.

კამათში ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ა-კ სამხარეო კომიტეტის მდივანი ამხ. ს. კუდრიავცევი.

მიღებულ რეზოლუციაში პარტაქტივი სავსებით და მთლიანად იწონებს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

აქტივის კრებამ მისალმება გაუგზავნა საბჭოთა ახალი კონსტიტუციის სულისჩამდგმელსა და შემომქმედს, საბჭოთა კავშირის ხალხთა ბელადს—დიდ სტალინს, აგრეთვე საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა მებრძოლ ხელმძღვანელს—ამხ. ლ. ბერიას.

კონფერენცია სრუტეების საკითხზე

ამხ. ლიტვინოვის სიტყვა

მონტრე, 22 ივნისი. სრუტეების საკითხზე მოწვეული კონფერენცია გაიხსნა შვეიცარიის საგარეო საქმეთა მინისტრ მოტას თავმჯდომარეობით; კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობს 1923 წლის კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოთა 9 დელეგაცია (იტალიის დელეგაცია არ გამოგზავნილა). მოტამ ხაზგასმით აღნიშნა საერთაშორისო ვალდებულებებისადმი ლოიალური დამოკიდებულების ის მაგალითი, რომელიც თურქეთის მთავრობამ მოგვცა, და განაცხადა, ჩაწერილი არიან მთელი რიგი ორატორებიო და შემდეგ სიტყვა მისცა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს თევფიკ რუშდი არასს.

არასმა აღნიშნა, რომ ლაპარაკია ისეთ საკითხზე, რომელიც არსებითად თურქეთის სუვერენიტეტს შეეხება. ამასთან თურქეთს სურს დაამყაროს საერთაშორისო თანამშრომლობა და ერთდროულად უზრუნველყოს თავისი ქვეყნის თავდაცვის ინტერესებს, რამდენადაც ნეიტრალურ კომერციულ გემებს უფლებას აძლევს გაიარონ სრუტეებში იმ დროს, როცა თურქეთი მონაწილეობას ღებულობს ომში. 1923 წლის კონვენცია დადებულ იქნა სულ სხვა პირობებში და სრუტეების დემილიტარიზაცია იმ დროს, როცა არ არსებობს ლოზანის კონვენციით გათვალისწინებული კოლექტიური გარანტიები, ეწინააღმდეგება თავდაცვის ელემენტარულ პირობებს. არასმა აგრეთვე ჩამოაყალიბა თურქეთის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ საჭიროა შეზღუდულ იქნას სამხედრო გემების თავისუფლად გავლა სრუტეებში.

რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტიტულესკუმ განაცხადა:

„ყოველივე ის, რაც თურქეთის უშიშროებას შეეხება, ერთნაირად შეეხება რუმინეთის უშიშროებასაც. თუ სრუტეები თურქეთის გულია, მაშინ ისინი რუმინეთის ფილტვებია". ტიტულესკუმ დაადასტურა ბალკანეთის ანტანტის სრული სოლიდარობა თურქეთთან და მიულოცა ამ უკანასკნელს, რომ იგი იცავს თავის საერთაშორისო ვალდებულებებს, „რაც მით უფრო ძვირფასია, რომ იგი სულ უფრო და უფრო იშვიათი ხდება".

დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა ლორდმა სტენჰოპმა თავისი მთავრობის სახელით კმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, თურქეთი ლოიალურად ეკიდება თავის ვალდებულებებს.

იგივე აღნიშნა თავის სიტყვაში საფრანგეთის წარმომადგენელმა, რომელმაც თურქეთის მოქმედების მეთოდები შეადარა ზოგიერთ სახელმწიფოს „ბრუტალურსა და ცალმხრივ მოქმედებას". მაგრამ, ამავე დროს მან განაცხადა, „თურქეთის უშიშროების და სხვა ქვეყნების ინტერესების შეთავსება ძალზე რთულ საქმეს" წარმოადგენსო.

ამის შემდეგ სიტყვა მიეცა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ამხ. ლიტვინოვს.

„საბჭოთა მთავრობამ, — სთქვა ამხ. ლიტვინოვმა, — არ დააყოვნა გამოხმაურებოდა თურქეთის მთავრობის 11 აპრილის ნოტს, რომელიც შეიცავს წინადადებას გადაისინჯოს ლოზანის კონვენცია სრუტეების შესახებ. თავის 18 აპრილის საპასუხო ნოტაში მან განაცხადა, რომ „მზად არის მიიღოს მონაწილეობა მოლაპარაკებაში, რათა სრუტეების რეჟიმი შეუფარდეს თურქეთის უშიშროების ინტერესებს და უზრუნველყოფილ იქნას მშვიდობიანობა და სიწყნარე ამ ზონაში". დღეს აქ საბჭოთა მთავრობა წარმოდგენილია არა მარტო როგორც ლოზანის 1923 წლის კონფერენციის მონაწილე, არამედ როგორც შავი ზღვის ერთერთი სახელმწიფოც, რომლის ინტერესები უშუალოდ არის დაკავშირებული სრუტეების საკითხის ასე თუ ისე გადაჭრასთან.

ამას უნდა დავუმატოთ საბჭოთა კავშირის სპეციალური ინტერესები, რომლებიც გამომდინარეობენ მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან, მისი გარემომცველი ზღვების განცალკევებიდან. თუ ბატონ ტიტულესკუს ფიგურალური გამოთქმით, სრუტეები წარმოადგენენ თურქეთის გულს და რუმინეთის ფილტვებს, მაშინ საბჭოთა კავშირისათვის ისინი შეადგენენ სასიცოცხლო ნერვს, რომელიც მის სხვადასხვა ნაწილს აერთებს. მე კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ ლოზანის კონფერენციის დანარჩენმა მონაწილეებმაც მიიღეს თურქეთის რესპუბლიკის წინადადება და ამით აღიარეს ლოზანის კონვენციის გადასინჯვის სამართლიანობა და დროულობა.

ლოზანის კონფერენცია გაიმართა მაშინ, როცა საერთაშორისო მდგომარეობაში სავსებით გამეფებული იყო მსოფლიო ომით გამოწვეული ქაოსი, როცა ის-ის იყო დაიწყო ევროპის სახელმწიფოთა გარდაქმნა პოლიტიკური მხრივ, მათი საგარეო პოლიტიკის მიმართულება და მიზნები ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული და ზოგ შემთხვევაში მათ შესახებ ყალბი წარმოდგენებიც კი არსებობდა. იმ დროს ძლიერი იყო პაციფისტური მოძრაობა თავისი ილუზიით, მსოფლიო ომი უკანასკნელი ომი იყოო. მაშინ არც ერთი მთავრობა ვერ ბედავდა გამოსულიყო აგრესიის, იმპერიალისტური ექსპანსიისა და ომის გლორიფიკაციის აშკარა ქადაგებით.

მას შემდეგ გასულმა 13 წელმა ამ მხრივ უდიდესი ცვლილებანი მოახდინა. მძლავრი პაციფისტური ნაკადი შემცირდა თავისი მოცულობით და ცალკეულ პატარ-პატარა სუსტ რუებად დანაწილდა. საერთაშორისო წინააღმდეგობანი კვლავ უაღრესად გამწვავდნენ და იმ ძალებმა, რომლებიც შუა საუკუნეებიდან მოკიდებული უახლოეს დრომდე, თვით მსოფლიო ომამდე ხალხებს სისხლიანი შეტაკებისაკენ უბიძგებდნენ, ზოგ ქვეყანაში კვლავ მედიდურად წამოჰყვეს თავი და აშკარად, სრულიად მოურიდებლად არა თუ ჰქადაგებენ, არამედ ამზადებენ კიდეც ომებს. თვით ომებიც კი მოხდა. მეორე მხრივ, განვლილი ხნის განმავლობაში გამოირკვა თითქმის ყველა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური დისპოზიციები. ახლა თითქმის უშეცდომოდ შეიძლება აღინიშნოს, თუ რომელი მათგანი ესწრაფვის მშვიდობიანობის ცოტად თუ ბევრად უზრუნველყოფას და, პირიქით, რომელი აშენებს მთელ თავის პოლიტიკას მის დარღვევაზე.

არ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ ყველა ეს ცვლილება და ახალი ფაქტორები ამ კონფერენციაზე ჩვენს წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრის დროს.

ამასთან ჩვენ განსაკუთრებით უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ თურქეთის რესპუბლიკამ იმ ხნის განმავლობაში, რომელიც ჩვენ ლოზანის კონფერენციას გვაშორებს, მოგვცა თავისი მშვიდობისმოყვარეობის საკმაოდ დამაჯერებელი საბუთები. მშვიდობისმოყვარულად განწყობილი თურქეთი, ჩემის აზრით, უნდა იყოს გადამწყვეტი მოსაზრება ჩვენს დამოკიდებულებაში მისი წინადადებისადმი, რომ მან აღადგინოს თავისი საკუთარი ტერიტორიის დაცვის განუსაზღვრელი უფლება. დაცვის უფლება არ შეიძლება აბსტრაქტულად განვიხილოთ. ეს უფლება შეთანხმებულ უნდა იქნას მშვიდობიანობის საერთო ინტერესებთან. სულ სხვა დამოკიდებულებაა საჭირო ამ უფლებისადმი, როცა ვხედავთ ამ უფლების აშკარა გამოყენებას სხვა ქვეყნების ინტერესთა დასარღვევად და აგრესიის მიზნით.

იგივე შეიძლება ითქვას ხელშეკრულებათა გადასინჯვის შესახებ. ერთი დამოკიდებულებაა, მასთან, როცა ეს გადასინჯვა სავსებით თავსდება მშვიდობიანობის შენარჩუნების და მით უფრო განმტკიცების ფარგლებში, სხვა დამოკიდებულებაა, როცა მისმა რეალიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს პოლიტიკური პერტურბაციები, დაარღვიოს საერთაშორისო მყუდროება და მშვიდობიანობა, ან როცა ამას შეიძლება მოჰყვეს სხვა სახელმწიფოთა ინტერესების ძალდატანებითი დარღვევა. ამგვარად, მე მგონია, ლოზანის კონვენციის გადასინჯვის საკითხი, თუ კონფერენციის ყველა მშვიდობისმოყვარე მონაწილე კეთილ სურვილს გამოიჩენს, შეიძლება ისე გადაიჭრას, რომ დავაკმაყოფილოთ თურქეთის სამართლიანი მოთხოვნები, დავიცვათ შავი ზღვის ყველა სახელმწიფოს ინტერესები, აგრეთვე ინტერესები მშვიდობიანობის განმტკიცებისა და უზრუნველყოფისა შავი ზღვის ბასეინში და ამით ხელი შევუწყოთ საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცებას. ამ მოსაზრებათა საფუძველზე საბჭოთა დელეგაცია მოხარული იქნება ითანამშრომლოს ამ კონფერენციის დანარჩენ დელეგაციებთან".

ამხ. ლიტვინოვის შემდეგ სიტყვა აიღო იაპონიის დელეგატმა ნატომ, რომელმაც განაცხადა, იაპონიის დელეგაცია „საერთოდ თანაგრძნობით ეკიდება თურქეთის წინადადებებს", მაგრამ რადგან იაპონია ამჟამად ერთა ლიგის გარეშეა, მას შეუძლია ითანამშრომლოს მსოფლიო პოლიტიკაში იმავე ფორმით, როგორც წარსულში.

საბერძნეთის დელეგატმა პოლიტისმა განაცხადა: ჩემს მთავრობას სამართლიანად მიაჩნია თურქეთის მოთხოვნები და იგი, როგორც რუმინეთი, თურქეთის უშიშროების უზრუნველყოფას თავისი უშიშროების უზრუნველყოფადაც სთვლის.

სამხრეთ-სლავიის დელეგატი სუბოტიჩი ანალოგიური გამოთქმებით შეუერთდა ბალკანეთის ანტანტის წევრთა ამ საერთო განცხადებას.

ბულგარეთის დელეგატმა ნიკოლაევმაც განაცხადა, რომ მისი მთავრობა თანაგრძნობით ეკიდება თურქეთის მთავრობის მოქმედების მეთოდს და ეთანხმება სრუტეების შესახებ თურქეთის მიერ წარმოდგენილი კონვენციის პროექტს.

შესავალი სიტყვების დამთავრების შემდეგ, ტიტულესკუს წინადადებით, კონფერენციამ თავის თავმჯდომარედ აირჩია ავსტრალიის დელეგატი ბრიუსი და ვიცე — თავმჯდომარედ — პოლიტისი. შემდეგ ცხადდება შესვენება ხვალინდელ დილამდე, როცა დახურულ სხდომაზე დაიწყება გენერალური დისკუსია თურქეთის პროექტის გამო.

◇ ◇ ◇ ◇

იაპონია-ჩინეთის ახალი ინციდენტი

ტოკიო, 22 ივნისი. გაზეთი „ასახი" იუწყება, რომ იაპონიის გემს „ტაე მარუს", რომელიც „ვაჭრობას" ეწევა ჩილიის ყურეს სანაპიროების გასწვრივ, სიკოუს მახლობლად ჩინეთის სადარაჯო გემმა ტყვიამფრქვევები დაუშინა. დაიჭრა იაპონიის გემის კაპიტანი და ერთი მეზღვაური. „ტაე მარუ" ხელთ იგდო ჩინეთის სადარაჯო გემმა. იაპონიის გენერალურმა კონსულმა ტიანძინში საქმის გამოსარკვევად ინციდენტის ადგილზე გაგზავნა პოლიციელთა რაზმი. (ადს).

იაპონელთა პარადი ბეიპინში

ბეიპინი, 22 ივნისი. გუშინ დილას ბეიპინში გაიმართა იაპონელთა დიდი პარადი.

გაზეთი „შიძ ეშიბაო" იუწყება, რომ გუშინ შანხაიდან ბეიპინს ჩავიდა 100-ზე მეტი იაპონელი ჯარისკაცი. (ადს).

◇◇

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს—ამხ. ლავრენტი ბერიას

ბათომის ორგანიზაციის პარტიული აქტივის კრება, მიძღვნილი საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგების განხილვისადმი, მხურვალე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნის თქვენ, ამხ. ლავრენტი, ნაცად სტალინელს, საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა მებრძოლ ხელმძღვანელს.

ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმი, რომელმაც მოიწონა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომლის სულისჩამდგმელი და შემომქმედი დიდი სტალინია,—შევა კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბოლშევიკური პარტიის ბრძოლის ბრწყინვალე ფურცლებში.

ამიერ-კავკასიის ფედერაციამ, რომელიც შეიქმნა ლენინისა და სტალინის ინიციატივით, სერგო ორჯონიკიძის უშუალო ხელმძღვანელობით, აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის ბოლშევიკებისათვის უზრუნველჰყო მხარის ყველა ხალხის და ეროვნებათა ძმური თანამშრომლობა და ხალხის მოსისხლე დაუძინებელ მტერთა—მენშევიკთა, მუსავატელთა, დაშნაკთა და ყველა ჯურის ნაციონალ-უკლონისტთა განადგურება.

ამიერ-კავკასიის ფედერაციამ საბოლოოდ მოუღო ბოლო წყეული წარსულის მემკვიდრეობას—ერთამორის არსებულ შუღლსა და მტრობას და დაამყარა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ხალხების მჭიდრო ძმური ერთიერთობა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან. ამ თანამშრომლობისა და მონოლიტობის საფუძველზე ამიერ-კავკასიის ხალხებმა სოციალისტური მშენებლობის და ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავების საქმეში უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს.

უკანასკნელ წლებში ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტმა შენი მეთაურობით ამხ. ლავრენტი, უდიდესი მუშაობა ჩაატარა იმ მხრივ, რომ განეხორციელებინა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიული გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია ამხანაგ სტალინის ინიციატივით და რომელიც გახდა ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალი ყველა ნაციონალური რესპუბლიკის ფართო დამოუკიდებლობისა და სამეურნეო ინიციატივის შემდგომი გაშლის ურყევი საფუძველი.

ამ გადაწყვეტილების განუხრელად განხორციელების და მხარის მთელი მუშაობის ნამდვილი ბოლშევიკური პრინციპულობის სიმაღლეზე აყვანის საფუძველზე, ამიერ-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა შესძლეს აღეზარდათ შესანიშნავი კადრები და მიეღწიათ იმისათვის, რომ ახლა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები დიდი საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკებისა და ოლქების რიგში ჩადგნენ.

ამიერ-კავკასიის ფედერაციამ სავსებით შეასრულა მის წინაშე დასახული ყველა ისტორიული ამოცანა. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა — აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის გადაქცევა მოკავშირე რესპუბლიკებად სავსებით დროულ ნაბიჯს წარმოადგენს და ხელს შეუწყობს ხალხთა სტალინური მეგობრობის შემდგომი განმტკიცების და ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვების საქმეს.

პარტიული აქტივის კრება სიტყვას გაძლევთ თქვენ, ამხ. ლავრენტი, რომ აჭარის ბოლშევიკები ბოლშევიკურად გაატარებენ ცხოვრებაში საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის ყველა გადაწყვეტილებას, არ დაზოგავენ თავიანთ ძალღონეს, რათა მომავალშიაც განამტკიცონ და დაიცვან ამიერ-კავკასიის ხალხთა და ჩვენი თვალუწვდენელი სოციალისტური სამშობლოს ყველა ეროვნების მშრომელთა სტალინური მეგობრობა.

მტკიცედ გვახსოვს რა თითოეული ბოლშევიკის წმინდა მცნება რევოლუციური სიფხიზლის შესახებ, ჩვენ მთელი დაუნდობლობით ვიბრძოლებთ კლასობრივი მტრის ნაშთების, მისი აგენტურის—განადგურებული პარტიების ნამსხვრევების და ყოველგვარ ანტიპარტიულ ელემენტთა მცირეოდენი გამოსვლების წინააღმდეგაც კი.

გაუმარჯოს საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა მებრძოლ ხელმძღვანელს—ამხანაგ ლავრენტი ბერიას

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ და გენიალურ ბელადს—დიდ სტალინს!

ქუთაისის რაიონის მცხოვრები ახალგაზრდა სტახანოველი მეაბრეშუმე ქალი **თამარ კუხიანიძე**, რომელმაც ერთ კოლოფ საჯიშე თესლიდან ჩააბარა 100 კილოგრამი აბრეშუმის პარკი და მიიღო 1400 მანეთი ფულად.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი—ამხ. სტალინს

ბათომის პარტიული აქტივის კრება, მიძღვნილი საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგების განხილვისადმი, მხურვალე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ — სსრ კავშირის ახალი, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის სულისჩამდგმელსა და შემოქმედს, სოციალიზმის გამარჯვებათა დიად ორგანიზატორს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა და ჩაგრულთა მეგობარსა და ბელადს.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმი, რომელმაც მოიწონა თქვენ მიერ შემუშავებული პროექტი ახალი კონსტიტუციისა, დიდი სოციალისტური რევოლუციის ისტორიაში შევა, როგორც უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენა კომუნიზმის ძლევამოსილებისათვის ჩვენი პარტიის ბრძოლისა და გამარჯვებათა გმირულ ისტორიაში.

თქვენ იდექით პირველი საბჭოთა კონსტიტუციის აკვანთან, თქვენ შექმენით საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია, რომელიც მთელი მსოფლიოს წინაშე საზეიმოდ ჩასწერს ყოველივე იმას, რაც უკვე მოიპოვა საბჭოთა ხალხმა, მოიპოვა მტკიცედ და სამუდამოდ და რომელიც კიდევ უფრო მეტად განამტკიცებს საბჭოთა სახელმწიფოს, როგორც მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ბაზას.

სტალინური კონსტიტუცია შეიძლება შექმნილიყო მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების საფუძველზე, მხოლოდ ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლენინურ-სტალინური პოლიტიკის გამარჯვების, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისა და კონტრრევოლუციური ტროცკიზმის, ზინოვიეველთა და მემარჯვენე ოპორტუნისტთა სავსებით განადგურების მეოხებით.

სოციალიზმის გამარჯვებასთან ერთად, საბჭოთა ხალხი დღეს ზეიმობს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სრულ გამარჯვებას, პოლიტიკისა, რომელმაც უზრუნველჰყო ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ხალხის შემჭიდროვება და ურღვევი მეგობრობა.

ლენინისა და სტალინის მითითებით შექმნილმა ამიერ-კავკასიის ფედერაციამ — „ბურჟუაზიის დროს უმაგალითო და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ნაციონალური მშვიდობიანობის ნიმუშმა" — განვლილი 15 წლის მანძილზე დარაზმა ამიერ-კავკასიის ხალხები მჭიდრო ძმურ თანამშრომლობაში სოციალისტური მშენებლობისა და ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავებისათვის.

გაანადგურეს რა ნაციონალ-უკლონისტები და სხვა ანტიპარტიული დაჯგუფებანი, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა და მშრომელებმა სამუდამოდ მოუღეს ბოლო წყეულ წარსულს, ერთამორის არსებულ შუღლს და ახლა არავითარ ძალას არ შეუძლია შეარყიოს ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმური მეგობრობა.

თქვენი დაუღალავი მზრუნველობისა და დახმარების მეოხებით ძვირფასო ამხანაგო სტალინ, იმის მეოხებით, რომ ა.-კ. სამხარეო კომიტეტი, ამხანაგ ბერიას მეთაურობით, განუხრელად ახორციელებდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიულ დადგენილებას, რომელიც თქვენის ინიციატივით იქნა მიღებული, — ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკები დღეს ჩვენი სამშობლოს მოწინავე რესპუბლიკათა რიგებში დგანან.

ამიერ-კავკასიის ხალხთა მჭიდრო ოჯახში იფურჩქნება და მტკიცდება საბჭოთა აჭარა.

ბათომის ბოლშევიკები დროულად სთვლიან და მიესალმებიან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა — აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის უშუალოდ შესვლას საბჭოთა კავშირში, რასაც კონსტიტუციის პროექტი ითვალისწინებს. და რაც ხელს შეუწყობს მათ შემდგომ აყვავებასა და განმტკიცებას.

ბათომის ბოლშევიკები ამიერ-კავკასიის ყველა პარტორგანიზაციასთან ერთად მომავალშიაც თვალის ჩინივით გაუფრთხილდებიან და დაუღალავად განამტკიცებენ ამიერ-კავკასიისა და მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა დიად სტალინურ მეგობრობას და გამანადგურებელ ლახვარს ჩასცემენ ყველა ნაციონალ-უკლონისტურ და დიდმპყრობელურ ელემენტებს.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებულნი, განუხრელად გავაძლიერებთ რევოლუციურ სიფხიზლეს, დაუნდობლად გავუსწორდებით კლასობრივი მტრის ნამსხვრევთა საზიზღარ გამოსვლებს, კიდევ უფრო შევამჭიდროვებთ ჩვენს რიგებს საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის და ბრძენი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო და გავსწევთ წინ ახალი გამარჯვებებისაკენ.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის უძლეველ პარტიას!

გაუმარჯოს დიდ სტალინს!

◇ ◇ ◇

პარტიის სოხუმის პირველი საქალაქო კომიტეტის არჩევნები

სოხუმი, 19 ივნისი. პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის შექმნის შესახებ საქართველოს კ. პ. (ბ) ცკ-ის დადგენილებასთან დაკავშირებით, სოხუმში 17 ივნისს შესდგა პირველი საქალაქო პარტიული კონფერენცია. კონფერენციის მუშაობის დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი:

1) პარტიულ დოკუმენტთა გამოცვლისათვის სოხუმის საქალაქო პარტორგანიზაციის მზადების მსვლელობა.

2) სოხუმის საქალაქო პარტორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

პირველ საკითხზე ვრცელი შინაარსიანი მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის ოლქკომის მდივანი ამხანაგი აგრბა.

ამხ. აგრბას მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 20 კაცმა. მქუხარე ოვაციით მიიღეს და დაამტკიცეს ტექსტი მისასალმებელი დეპეშებისა ამხანაგ სტალინისა და ამხანაგ ბერიას სახელზე.

კონფერენციის შემდეგ შესდგა არჩეული საქალაქო პარტკომიტეტის პირველი საორგანიზაციო პლენუმი.

პლენუმმა საქალაქო კომიტეტის ბიურო აირჩია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. აგრბა, კიკორია, ჩ. ვარდანიანი, სნიტკინი, აგიზბა.

საქალაქო კომიტეტის მდივნად ერთხმად აირჩიეს ამხ. აგრბა, მდივნის მოადგილედ — ამხ. კიკორია. (ადს)

სტალინური კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

თელავის მშრომელები აღფრთოვანებულნი არიან

თელავის მშრომელები გულდასმით იხილავენ გამარჯვებული სოციალიზმის სტალინური კონსტიტუციის პროექტს. გამოსასვლელ დღეს — თელავის წარმოება-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილნი ინტერესით ეცნობოდნენ პროექტს. თითქმის ყველა, ვისაც კი მოესწრო გაზეთის მიღება და კონსტიტუციის პროექტის წაკითხვა, ერთსა და იმავეს გაიძახოდა:

— თავი სიზმარში მგონია. ხალხთა ასეთი უფლება, არჩევნების ასეთი წესი მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანაშია შესაძლებელიო.

მოხუცი გლეხები კი გაიძახოდნენ: ჩვენი მშობლიური სტალინი ხალხთა ცხოვრებას ისე აწყობს, მოხუცები ვჯეელდებით, ენერგია გვემატება, შრომას ვეხარბებით, ჩვენი სიცოცხლე სიტკბოებით ივსებაო.

ადგილობრივი სტამბის მუშამ დარო გიორგელაშვილმა განაცხადა: „ქალები თვითმპყრობელობისა და მენშევიკების ბატონობის დროს მონები ვიყავით, ვინ გაგვიშვებდა მაშინ კრებაზე, ვინ ამოგვაღებინებდა ხმას, ვის ესმოდა ჩვენი ტანჯვა, კვნესა და ჩივილი.

მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ლენინ-სტალინის დიდმა პარტიამ, მშობლიურმა სტალინმა შეგვიქმნა ადამიანური, ბედნიერი ცხოვრება, ჩვენ, ქალები, თანასწორნი ვართ მამაკაცთან ყველა უფლებაში და ეს ჩვენ, ბევრს გვავალებს, ქალებმა საბჭოთა ქვეყანას უნდა გამოვუზარდოთ ჯანსაღი, ბედნიერი და გმირი თაობა. აი ჩვენი, როგორც პროლეტარული სამშობლოს დედათა, მოვალეობა“.

— „ახალი კონსტიტუციის პროექტმა იმდენად იმოქმედა ჩემზე რომ მე, უკვე ხანში შესული, თითქმის გავახალგაზრდავდი, ახლა აქვს შრომას ფასი და მეც ერთგულად, ვიშრომებ. ვკისრულობ ვალდებულებას ჩემთვის მოცემული გეგმა ორმაგად, შევასრულო, — განაცხადა სტამბის ძველმა მუშამ ამხ. ვასო მარქაროვმა. ასეთივე სიტყვით გამოვიდა ასოთამწყობი ამხ. ლევან მორბელაძეც და სხვ.

ქალაქის კოოპერაციის მუშა-მოსამსახურეები უდიდესი ყურადღებით ეცნობოდნენ კონსტიტუციის პროექტს.

— სტალინური კონსტიტუციის ახალი პროექტი, — განაცხადა ამხ. ნინო გოგოლიძემ, — ყველას გვახარებს. პირადად მე ისე ვარ აღფრთოვანებული, რომ სიხარულის გამოსათქმელად სიტყვებიც არ მყოფნის.

დახლის მუშაკმა ამხ. ათუნაშვილმა განაცხადა: — ისტორიას არ ახსოვს და არც ვისგანმე მსმენია, რომ რომელიმე სახელმწიფოში ხელისუფლებას კონსტიტუცია ხალხთა მასების წინაშე განსახილველად გამოეტანოს. და მარტო ის ფაქტი, რომ ჩვენ უნდა განვიხილოთ კონსტიტუცია, ადასტურებს ჩვენი ქვეყნის ურყევ ძლიერებას, კომუნისტური პარტიის, მისი ბრძენი ბელადის სტალინის საქმის ბრწყინვალე გამარჯვებას.

კონკრეტულ ვალდებულებებს კისრულობენ

ქუთაისი, 19 ივნისი. ქუთაისის რაიონის კოლმეურნენი, ქალაქის მშრომელებთან ერთად, ფართოდ იხილავენ ახალი კონსტიტუციის პროექტს.

კოლმეურნენი არ სჯერდებიან ახალი კონსტიტუციის პროექტის საერთო კრებებზე გაცნობას და აწყობენ ახალი კონსტიტუციის ტექსტის ხმამაღლა კითხვას ბრიგადებში. პროექტის განხილვა ყველგან იმ ნიშნით მიმდინარეობს, რომ მოხდეს ყველა ძალის მობილიზაცია მიმდინარე წლის სტალინური მოსავლის უზრუნველსაყოფად.

მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში, გარდა სსრ კავშირისა, გლეხები არ სარგებლობენ შრომისა და დასვენების ნამდვილი უფლებებით, — განაცხადეს 25 ოქტომბრის სახელობ. კოლმეურნეობის წევრებმა. ეს ჩვენ გვაფრთოვანებს, რომ კიდევ უკეთ ვიმუშაოთ, კიდევ უფრო ენერგიულად ვიბრძოლოთ ბოსტნეულ კულტურათა სტალინური მოსავლის მისაღებად.

კოლმეურნეობა „მოწინავე პირველის“ სტახანოველი ქალი ოლღა მარდალეიშვილი ამბობს:

— წელს მეაბრეშუმეობაში მე ჯერჯერობით პირველი ადგილი მიჭირავს არა მარტო რაიონში, არამედ მთელ საქართველოშიაც. ნახევარი კოლოფი აბრეშუმის თესლიდან სახელმწიფოს ჩავაბარე 66,4 კილოგრამი ჯიშიანი აბრეშუმის პარკი. მაგრამ ეს წარმატება, რომელსაც მივაღწიე მუყაითი მუშაობისა და მთელი რიგი წლების განმავლობაში შეძენილი გამოცდილების გამოყენების შედეგად, მე არ მაკმაყოფილებს. კონსტიტუცია მკაფიოდ გამოხატავს კომუნისტურ პარტიის და მთავრობის დიდ სტალინურ ზრუნვას ჩვენზე, ამ ზრუნვაზე უპასუხებთ ჩვენი სამშობლოს მხურვალე სიყვარულით. ვკისრულობ კოლმეურნეობაში წელს გამოვიმუშაო 200 შრომადღე მაინც და სიტყვას ვიძლევი, რაკი მამაკაცთა თანაბარი უფლებებით ვსარგებლობ, მუშაობაშიაც არ ჩამოვრჩე მათ.

ამხ. მარდალეიშვილის მოწოდებას ცხოველად გამოეხმაურნენ მაღლაკის სოფლის საბჭოს მოწინავე მეაბრეშუმე კოლმეურნენი ამხ. თამარ ჯავახაძე და მარო კოლაძე; ისინი პირობას იძლევიან, რომ წელს თვითეული მათგანი გამოიმუშავებს 200 შრომადღეს.

ოფურჩხეთის, გოდოგნის, ოფშკვითის სოფლის საბჭოების კოლმეურნეებმა, რომლებიც გაეცნენ სტალინური კონსტიტუციის პროექტს, იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი — იმუშაონ ისე, როგორც ამას მოითხოვენ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

ბრიგადებსა და ცალკეულ კოლმეურნეებს შორის გაიშალა შეჯიბრება ზაფხულის პერიოდში მინდვრების უკეთ დამუშავებაზე.

ახალი კონსტიტუციის პროექტის ყოველმხრივი შესწავლა და განხილვა ქუთაისის რაიონის ყველა კოლმეურნეობაში გრძელდება.

დიასახლისები იხილავენ

ტფილისის სადგურის მუშა-მოსამსახურეებში ახალი კონსტიტუციის პროექტის შესწავლა და დამუშავება დიდი გაცხოველებით მიმდინარეობს. პარტკომმა წინასწარ გაუკეთა აგიტატორებს კონსულტაცია პროექტის წაკითხვის პრაქტიკულ საკითხებზე. ყოველ გაუგებარ საკითხზე აგიტატორები იძლევიან საჭირო ახსნა-განმარტებას.

პარტკომმა ასევე ორგანიზებულად ჩაატარა მუშაობა სადგურის მუშა-მოსამსახურეთა დიასახლისებს შორის. პარტკომის დადგენილებით დიასახლისებისათვის მოეწყო ოთხი წრე, რომლებშიც გაერთიანებულია 300 დიასახლისი; პირველი მეცადინეობა უკვე ჰქონდათ. წრე სამდღიანია. დიასახლისები გულმოდგინედ ირჩევენ და სწავლობენ ახალი კონსტიტუციის პროექტს. ამ განხილვასთან დაკავშირებით მათ მიერ შემოტანილი წინადადებები განიხილება ამ საკითხისათვის სპეციალურად მოწვეულ ერთიან პარტდღეზე.

ავეჯეულობის ფაბრიკაში

ტფილისის ავეჯეულობის ფაბრიკის მუშათა კოლექტივი გულდასმით იხილავს საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს.

მუშათა კრებებზე კონსტიტუციის ხმამაღლა კითხვისა და ზოგი საკითხის ფართო ახსნა-განმარტებისათვის გამოყოფილი არიან ინჟინრები ამხ. ფერაძე (ქართული ჯგუფი) და ამხ. ცალკინი (რუსული ჯგუფი).

ჯგუფ-ჯგუფად მუშები იხილავენ საბჭოთა სახელმწიფოს მომავალ ძირითად კანონს. აღსანიშნავია მუშათა დიდი აქტივობა კონსტიტუციის თვითეული მუხლის განხილვის დროს. მუშები მასობრივად გამოდიან და გამოსთქვამენ საკუთარ აზრს, აღფრთოვანებული არიან მთელ ქვეყანაზე ყველაზე უფრო დემოკრატიული კონსტიტუციით.

მუშებმა ამხ. ბერიშვილმა, კაპანაძემ, სხირტლაძემ, მურადოვმა, სარატიანმა, ნაცვალოვმა შემოიტანეს მთელი რიგი შეკითხვები, რომლებზედაც იქვე გასცეს პასუხი ინჟინრებმა ამხ. ფერაძემ და ცალკინმა.

მუშები დაინტერესებული არიან ა.-კ. რესპუბლიკის ლიკვიდაციის საკითხით, ისინი დიდი ინტერესით გაეცნენ ამხ. ბერიას წერილს, რომელიც მოთავსებული იყო „პრავდაში“.

ზოგმა ამხანაგმა შემოიტანა წინადადებები კონსტიტუციის ცალკე მუხლებში ცვლილებების შეტანის შესახებ. მაგ. ამხ. ნაცვალოვმა განაცხადა:

— კონსტიტუცია იწყება სიტყვებით: „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი არის მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო“. ხოლო მესამე მუხლში ვკითხულობთ: „მთელი ძალაუფლება ს.ს.ს.რ. კავშირში ეკუთვნით ქალაქისა და სოფლის მშრომელებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სახით“. მე წინადადება შემომაქვს ორივე მუხლში ნახმარი იქნეს ერთნაირი გამოთქმა, სახელდობრ მესამე მუხლისა და ამის მიხედვით პირველი მუხლი ასე შესწორდეს: „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი არის ქალაქისა და სოფლის მშრომელების სოციალისტური სახელმწიფო“.

○

„ხალხო! რა ბედნიერი დრო დაგვიდგა“

ამხ. ფ. მახარაძის სახ. კოლმეურნეობაში (ტფილისი) ახალი კონსტიტუციის პროექტმა უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია.

— ხალხო, რა ბედნიერი დრო დაგვიდგა! — ხმამაღლა გაიძახის შეძლებული კოლმეურნე ამხ. ჩარგეიშვილი. გული სიხარულით მევსება და მკლავებში ძალა მემატება, ყველაზე უფრო ის მახარებს, რომ ჩემს ბავშვებს სამუდამოდ გაუთენდათ, ისინი ბედნიერი ადამიანები არიან, რადგან არ ნახავენ წარსულ შავბნელ ცხოვრებას. ახლა, ბედნიერების მზემ ჩაგრულთათვის ამოანათა. ჩვენ, საბჭოთა ქვეყნის შვილები უბედნიერესი ადამიანები ვართ, რადგან ვიცით, რომ ჩვენს ბავშვებს მშვენიერი მომავალი და ბედნიერი ცხოვრება მოელით.

— ბიჭო, ის ადგილი კიდევ წაგვიკითხე, აი პიროვნების უფლებაზე და მოვალეობაზე რომ სწერია. როგორაა, პა.. ეუბნება აგიტატორს სტახანოველი კოლმეურნე მანჯგალაძე. აგიტატორმა ხელმეორედ წაიკითხა კონსტიტუციის ზოგი მუხლი, კოლმეურნეები გაფაციცებით უგდებენ ყურს და გულში ღრმად იბეჭდავენ სტალინური კონსტიტუციის ყოველ სიტყვას.

კოლმეურნეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს აგრეთვე ის ადგილი, სადაც ლაპარაკია კოოპერატიულ — საკოლმეურნეო საკუთრების ფორმასა და მის დაცვაზე.

ბეინჩიძე.

ჩემი შეხედულება

ახალი კონსტიტუციის პროექტი სრულიად ახალი რამ არის ჩვენს ცხოვრებაში, ახალი ადამიანის ახალებური ცხოვრების მომასწავებელია. პროექტში ნათქვამია, შრომა წარმოადგენს თვითეული მოქალაქის მოვალეობას, ვინც არ მუშაობს, ის არა სჭამსო. ამით ჩვენი ქვეყანა ახორციელებს სოციალიზმის პრინციპს: თვითეულისაგან მისი უნარის მიხედვით, თვითეულს — მისი შრომის მიხედვით.

ეს სოციალიზმის კანონია. ეს კანონი მე სიცოცხლეს მიხანგრძლივებს, მუშაობაში ძალას მმატებს, რომ ვიმუშაო უფრო მეტი ნაყოფიერებით და არ გამოვუშვა ცუდი ხარისხის პროდუქცია.

ჩვენში ადამიანი გაიზარდა, გარდაიქმნა, ახალ ადამიანად იქცა და სახალხო ბედნიერებას საკუთარი ხელით სჭედს. ამიტომ არის, რომ საბჭოთა ხელისუფლებას, ჩვენს კომუნისტურ პარტიას იმაზე მეტი საზრუნავი არა აქვს, გარდა ადამიანთა საყოველთაო ბედნიერების შექმნისა. მშვიდობიანობის დაცვისა და ჩვენი ქვეყნის წინსვლისა. ადამიანები ახლა უდიდესი პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობენ და ეს მხოლოდ ჩვენს ქვეყანაშია შესაძლებელი.

პროექტით ქალს ენიჭება მამაკაცთან თანასწორი უფლებანი სახელმწიფოებრივ და საერთო საზოგადო მუშაობაში. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ქალის სრული თავისუფლება შესაძლებელი იყო და არის მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანაში. კაპიტალისტურ ქვეყანაში ქალთა თავისუფლებაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია, ქალი იქ ოჯახის ტვირთია, სამზარეულოს დამატება.

მე მინდა კიდევ ერთ საკითხს შევეხო. ეს არის ამიერ-კავკასიის ფედერაციის საკითხი. პროექტი ითვალისწინებს სამივე რესპუბლიკის — საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის დამოუკიდებლად შესვლას სსრ კავშირში. ეს დიდი მოვლენაა. იგი იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენი რესპუბლიკები ყოველმხრივ დაწინაურდნენ. ჩვენში მოისპო ნაციონალური მტრობა. ჩვენს ხალხებს შორის ნამდვილი ძმური კავშირია, საყოველთაო სიყვარული და მეგობრული ურთიერთობა. ამიტომ არ არსებობს ჩვენში ხალხთა შორის მტრობა და სიძულვილი და არც შეიძლება არსებობდეს.

ახალი კონსტიტუციის პროექტი ჩვენი ქვეყნის მმართველობის ნამდვილი დემოკრატიული კანონია, იგი იწყებს ახალ ხანას ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

ლოლა სიჭინავა

პირველი სამკერვალო ფაბრიკის მუშა.

ახალი კონსტიტუცია, ახალი პერსპექტივები

სსრკ ახალი კონსტიტუცია ჩვენი სოციალისტური სამშობლოს უდიდესი მიღწევების შედეგია. სოციალიზმის გამარჯვებამ მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის შესაძლებლობა და ამ ბაზისზე შესაძლებელი გახდა ახალი ნამდვილი დემოკრატიული კონსტიტუციის შექმნა.

ახალი კონსტიტუციით ყველას აქვს შრომის უფლება, შრომა, რაც საუკუნეების განმავლობაში მოსახლეობის უმრავლესობისათვის მძიმე მოვალეობა იყო, ახლა საბჭოთა მოქალაქის და ღირსების საქმედ იქცა. უფლება დასვენებისა, მატერიალური უზრუნველყოფისა, განათლებისა, მამაკაცის და დედაკაცის ნამდვილი და არა ფორმალური თანასწორობა — აი ზოგიერთი ძირითადი პრინციპი ჩვენი ახალი კონსტიტუციისა. ეს პრინციპები ახალი სტიმულია ჩვენი მუშაობის გაძლიერებისა, მეცნიერებათა მწვერვალების დაუფლებისა, ახალი სტიმულია ჩვენი ქვეყნისადმი დიდი სიყვარულისა, საბჭოთა პატრიოტიზმის გაძლიერებისა. ახალი კონსტიტუცია ახალ პერსპექტივებს გვისახავს და უფრო მეტ მოვალეობებს გვაკისრებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დაცვის საქმეში.

პროფესორი: ქ. ბაქრაძე.

ტფილისი, სტალინის სახელობის ორთქლმავალსარემონტო ქარხანა. სამონტაჟო საამქრო.

სურათზე: საამქროს პროფორგი ამხ. ზალიშვილი — ლითონის ხარატი, სტახანოველი, სამუშაოთა გეგმას 280 პროცენტის გადამეტებით ასრულებს.

ფოტო ბუდუჩკისა

გიორგი ქუჩიშვილი

გლოვა გორკზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს რა ღელვაა,
  რა ზღვა-ხალხია,
რისთვის ატირებულან
  ღრმა გულისტკენით
დახრილ დროშებზე
  ვინ დაარხია
მარში გლოვისა
  ყრუ ბეთჰოვენის...
რა ამბავია,
  ნეტავ რა მოხდა,
რისთვის შეტოკდა
  მშრომელთა გული,
გორკი აღარ გვყავს...
გორკაში მოკვდა..
დასცხრა გრიგალა,
  აღმოხდა სული...
აღარ გვყავს, არა
  [illegible],
შეწყდა,
აღარ სცემს
  მედგარი დაფი
და ეს ამბავი
  ეს გლოვის ზარი
ეუწყა ყველას
  ელვის სისწრაფით.

[illegible]
  [illegible]
ჰქონდა ცხოველ მზის
  [illegible]
[illegible]
  ფიქრთა მწვერვალთაც
იგრძნეს არყოფნის
  საშინელება.
ჰა, მსოფლიოს
  გულთა მფლობელი
აღარ მეტყველებს
  და აღარც ჰფეთქავს...
მართლაც:
  წუთია — წუთისოფელი,
ვერ დაამთავრა,
  რაც სურდა ეთქვა.
გლოვობს
  საბჭოთა დიდი კავშირი
დიდ მოაზროვნეს,
  მებრძოლს და მწერალს.
ჩვენც პოეტები,
  კრძალვით დავსტირით
დიდ ეპოქათა
  დიად მომღერალს.

◇ ◇ ◇

პარტიული დოკუმენტების გამოცვლის პირველი შედეგები

— მშვენიერად მიდის საქმე, — ფიქრობდნენ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელები და რიგითი კომუნისტები, — რაკი პარტიული დოკუმენტების შემოწმებამ ჩაიარა, ცხადია, პარტიის მტრები განადგურებული არიან, პარტიული მეურნეობა მოყვანილია წესრიგში, და [illegible] ხელს კომუნისტების აქტივობის ზრდასო. თვითდამშვიდების სენით შეპყრობილნი, პარტიული დოკუმენტების გამოცვლას ტექნიკურ საქმედ სთვლიდნენ, ამ უღრმესად დიდ პოლიტიკურ საქმეს ასე ზერელედ აფასებდნენ.

მაგრამ მათ, ვინც ასე ფიქრობდა, მწვავედ იგრძნეს თავიანთი შეცდომა, როდესაც პარტიული დოკუმენტების გამოსაცვლელად რაიონულ კომიტეტში მივიდნენ, — განაცხადა საკ. კ. პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის 26 კომუნარის სახ. რაიკომის მე-7 პლენუმზე (რომელიც შესდგა 19 ივნისს) რაიკომის მდივანმა ამხ. გრ. კარანაძემ. მან თავის ვრცელ, შინაარსიან მოხსენებაში მოიყვანა მთელი რიგი ფაქტები ზოგიერთი პარტორგანიზაციის სუსტი მუშაობიდან. აღნიშნა თვითკმაყოფილებისა და დამშვიდების მავნე შედეგები, რომელიც გამომჟღავნებული იქნა პარტიული დოკუმენტების გამოცვლის მიმდინარეობის დროს.

ორჯონიკიძის სახ. მანქანათმშენებელ ქარხანაში პარტიულ კომიტეტს არავითარი ღონისძიება არ მიუღია პასიური კომუნისტების გამოსასწორებლად.

პარტიული დოკუმენტების გამოსაცვლელად მოსულ კომუნისტებთან საუბრიდან გამოირკვა, რომ ორჯონიკიძის სახ. ქარხნის პარტიულ კომიტეტს ჯერ კიდევ მრავლად ჰყავს პასიური კომუნისტები, რომლებიც უყურადღებოდ არიან მიტოვებულნი. პარტიის წევრობის კანდიდატი ამხ. დ. მარტიროსოვი მცირემცოდნე და პოლიტიკურად ჩამორჩენილი იყო პარტიული დოკუმენტების შემოწმების დროს და ასეთივე გამოცხადდა პარტიული ბილეთების გამოცვლაზეც.

რაშია საქმე? რატომ არ ზრუნავდნენ ამ კაცის გამოსწორებაზე ქარხნის პარტორგანიზაციაში. ამაზე პასუხის გაცემა ორჯონიკიძის სახ. ქარხნის პარტკომის მდივანმა არ ძალუძს, რადგან ამ საქმეში მასაც მიუძღვის ბრალი.

ანდა რას ნიშნავს ის ფაქტი, რომ კომუნისტი ამხ. რომელაშვილი, რომელიც პარტიის წევრობის კანდიდატს ამხ. გ. მინასიანს მიამაგრეს დახმარების ნაცვლად გაურბოდა მინასიანთან შეხვედრასაც კი. ამის მიზეზი გამოარკვია რაიკომის მდივანმა პარტიული დოკუმენტების გამოცვლის დროს (მათთან საუბარში). თურმე მინასიანი და რომელაშვილი ერთმანეთს ვერაფერს ვერ აგებინებდნენ: ერთმა ქართული ენა არ იცოდა, მეორემ — სომხური. აბა ასეთ პირობებში რა მუშაობაზე შეიძლება ლაპარაკი!...

პარტიული დოკუმენტების გამოცვლამ გამოაშკარავა პარტიისადმი მტრულად განწყობილი უცხო და პასიური ადამიანები. 1016 კომუნისტიდან, რომლებიც 26 კომუნარის სახ. რაიკომში მივიდნენ ახალი ბილეთის მისაღებად, პარტიიდან გაირიცხა 7, ხოლო 15 კაცის საქმე გადაიდო გამოსარკვევად.

პარტიიდან გარიცხული არიან მატყუარები, მენშევიკური ბანდის ყოფილი წევრები, რომლებმაც პარტიას დაუმალეს თავიანთი წარსული, პარტიიდან გაირიცხა პარტიის წევრობის კანდიდატი ლაშქარავა, რომელიც მენშევიკურ ავანტიურაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

სპეკულაციისა და ორპირობისათვის გარიცხულია აგრეთვე საკონდიტრო ფაბრიკის პარტორგანიზაციის წევრი ხუდავერდოვა, იგი ფაბრიკაში მუშაობას ხშირად უმუშევრად ყოფნას არჩევდა. სიმულიანტობდა, ზოგჯერ 3—6 თვე წარმოებას არ ეკარებოდა, რადგან ხელობად სპეკულაცია გაიხადა და ამ გზით მეტ შემოსავალს ღებულობდა.

პარტიიდან გაირიცხა მოსე ფირიუმანიშვილი. პირველი საავადმყოფო) დოკუმენტების გამოცვლის დროს გამოირკვა, რომ ეს ვაჟბატონი გარდა იმისა, რომ მენშევიკური პარტიის აქტიური წევრი იყო, თავისი ხელით ჰხვრეტდა კომუნისტებს. რაიკომმა ტფილისის კომიტეტის წინაშე დააყენა საკითხი ფირიუმანიშვილის რეკომენდატორთა პარტიული პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

◇ ◇ ◇

აბრეშუმის პარკის დამზადება

ცნობები 20 ივნისისათვის ცენტნერებში

რაიონები	გეგმა	შესრ. %%
ტფილისის	56	13,6
ბორჩალოს	55	30,4
ლუქსემბურგის	33	45,4
საგარეჯოს	45	8,9
გორის	24	—
ხაშურის	13	—
კასპის	60	20
გურჯაანის	387	50,4
სიღნაღის	285	51,4
ლაგოდეხის	564	89,5
ყვარელის	798	34,5
თელავის	705	18,7
ჯულფის	640	39,1
ორჯონიკიძის	200	4
ჭიათურის	108	4,1
ჩხარის	434	58
ქუთაისის	**2.014**	**107**
ტყიბულის	56	24,8
ბაღდათის	351	54,6
სამტრედიის	2.072	84,6
წულუკიძის	1.565	82
ვანის	1.475	40
აბაშის	**1.860**	**100**
ცხაკაიას	1.120	83
ფოთის	144	79,1
მარტვილის	1.728	61,2
ზუგდიდის	1.998	73,8
ხობის	930	65,7
წალენჯიხის	799	31,7
ჩხოროწყუს	1240	49,6
მახარაძის	209	29,9
ლანჩხუთის	1.728	78,8
ჩოხატაურის	1.554	21,8
ამბროლაურის	124	—
ცაგერის	208	—
აჭარის ასსრ	192	47,1
აფხაზეთის ასსრ	2.304	29,6
სულ რესპუბლიკაში	29.500	58,8

ნ. ი. ჩელიაპოვი

რა არის კონსტიტუცია?

კონსტიტუცია ლათინური სიტყვაა და ქართულად ნიშნავს დადგენას, დაწესებას, წყობას. სახელმწიფოს მიმართ სიტყვა კონსტიტუციით აღინიშნება ერთობლიობა სახელმწიფოს ძირითადი კანონებისა, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ ვის ეკუთვნის ხელისუფლება ქვეყანაში, როგორ იქმნება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, რა უფლებები აქვთ მოქალაქეებს და რა დაწესებულებანი ახორციელებენ სახელმწიფო ხელისუფლებას ქვეყანაში. ეს ძირითადი კანონები ყოველთვის წარმოადგენენ იმ საწარმოო ურთიერთობის კლასობრივ ძალთა იმ თანაფარდობის გამოხატულებას, რომლებიც მოცემულ ქვეყანაში არსებობს.

1909 წელს ლენინი სწერდა:

„კონსტიტუციის დედაარსი ის არის, რომ სახელმწიფოს ძირითადი კანონები საერთოდ და ის კანონები, რომლებიც შეეხება წარმომადგენლობითს დაწესებულებებში არჩევის უფლებას, მათს კომპეტენციას და სხვ., გამოხატავენ ძალთა ნამდვილ თანაფარდობას კლასობრივ ბრძოლაში“.

სავსებით გასაგებია, რომ თვითეულ სახელმწიფოს თავისი კლასობრივი ბუნებისა და კლასობრივ ძალთა თანაფარდობის მიხედვით აქვს ასეთი თუ ისეთი კონსტიტუცია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თვითეულ სახელმწიფოს აუცილებლად დაწერილი კონსტიტუცია ჰქონდეს. ფეოდალურ სახელმწიფოებს, როგორც წესი, არ ჰქონიათ დაწერილი კონსტიტუცია და ისტორიაში დაწერილი კონსტიტუციების გამოჩენა დაკავშირებულია [illegible] უფლების სათავეში ბურჟუაზიის ჩადგომასთან. ასეთ პირველ დაწერილ კონსტიტუციებად შეიძლება ჩაითვალოს ჩრდილო-ამერიკის ცალკეული შტატების კონსტიტუციები, რომლებმაც მე-17 და მე-18 საუკუნეებში იჩინეს თავი. საფრანგეთის პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ დაწერილი კონსტიტუცია, როგორც წესი, თითქმის ყოველი სახელმწიფოს კუთვნილება ხდება. მაგრამ დღემდეც არსებობს სახელმწიფოები, რომელთაც არ მოეპოვებათ თავის დაწერილი კონსტიტუცია. ასეთი სახელმწიფო არის, მაგალითად, უძველესი ბურჟუაზიული ქვეყანა ინგლისი.

კონსტიტუცია, რომელიც ქვეყნის სახელმწიფოებრივ წყობილებას განსაზღვრავს, არის მისი ძირითადი კანონი. ეს იმას ნიშნავს, რომ კონსტიტუციაში იწერება ამ სახელმწიფოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების ყველაზე ძირითადი პრინციპები და რომ ყველა დანარჩენი კანონი თავისი შინაარსით პოლიტიკური წყობილების ამ პრინციპებს უნდა შეეფერებოდეს.

მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ბურჟუაზიული კონსტიტუციები ნამდვილად სწორად ასახავენ მოსახლეობის ცალკეულ კლასთა ფაქტიურ მდგომარეობას და სწორად განსაზღვრავენ სახელმწიფოებრივი წყობილებისა და გაბატონებული ბურჟუაზიის პოლიტიკის თვით რაობას. პირიქით, იმის მტკიცება კი შეიძლება, რომ ვინც მოისურვებს კონსტიტუციების მიხედვით შეისწავლოს ბურჟუაზიულ ქვეყნებში სახელმწიფო დაწესებულებათა საქმიანობა, მათი ურთიერთობა, მოსახლეობის ნამდვილი უფლებები და სხვ., სრულებით დამახინჯებულ და ყალბ წარმოდგენას მიიღებს ამ სახელმწიფოებში საქმის ნამდვილი მდგომარეობის შესახებ.

როდესაც ბურჟუაზია ბრძოლას აწარმოებდა ფეოდალიზმსა და აბსოლუტურ მონარქიასთან, იგი აყენებდა მთელ რიგ ლოზუნგებსა და პრინციპებს, რომელთა საშუალებითაც იგი თავის გარშემო აერთიანებდა პროლეტარიატსა და გლეხობას და არსებითად მათი ხელით ახდენდა თავის რევოლუციებს. ეს ლოზუნგები, რომლებსაც ბურჟუაზია თავის დეკლარაციებსა და კონსტიტუციებში სწერდა, გათვალისწინებული იყო იმისათვის, რათა დაჩაგრული კლასებისათვის ჩაენერგათ აზრი, რომ ბურჟუაზიის ბატონობა, დამყარებული დამხობილი ფეოდალიზმის ნანგრევებზე, კაპიტალის დიქტატურა კი არ არის, არამედ ხალხის ხელისუფლებაა. ამიტომ ბურჟუაზიული კონსტიტუციების უმეტესობაში არის მუხლები, რომლებიც ლაპარაკობენ, რომ „ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს“, ან რომ „ხელისუფლების წყარო არის ხალხი“ და სხვ.

ბურჟუაზიული კონსტიტუციები მთელი თავისი დადგენილებებით ცდილობენ მიჩქმალონ, დაჰფარონ საქმის ნამდვილი ვითარება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ხელისუფლება სახელმწიფოში ეკუთვნით მხოლოდ კაპიტალისტებს და მათს ორგანიზაციებს — ბირჟებს, ბანკებს, ტრესტებს, სინდიკატებს და სხვ.

ამგვარად, ბურჟუაზიული კონსტიტუციები სახელმწიფოს პოლიტიკური ბუნების ნამდვილი რაობისა და მისი ფაქტიური წყობილების გამოხატულება კი არ არის, არამედ დოკუმენტებია, რომელთა დანიშნულებაა ფართო მშრომელი მასების მოტყუება და მათთვის ყალბი წარმოდგენის ჩანერგვა, რომ ეს მასები ნამდვილად მონაწილეობენ კანონმდებლობაში და ქვეყნის მართვა-გამგეობაში.

სულ სხვა რამეს წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს, საბჭოთა სახელმწიფოს კონსტიტუცია. იგი პირდაპირ და აშკარად აცხადებს, რომ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოში ხელისუფლება მხოლოდ მშრომელებს ეკუთვნით. იგი პირდაპირ ამბობს, რომ მისი ამოცანაა საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრების მოსპობა, მოსპობა ადამიანის ექსპლოატაციისა ადამიანის მიერ. კლასების ლიკვიდაცია და სოციალიზმის აშენება. მაშინ, როდესაც ბურჟუაზიული კონსტიტუციები გათვალისწინებულია იმისათვის, რომ საუკუნოდ განამტკიცონ ბურჟუაზიის ხელისუფლება, მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს კონსტიტუცია პირდაპირ აცხადებს, რომ მისი საბოლოო მიზანია კომუნისტური საზოგადოების აშენება, სადაც უკვე აღარ იქნება არავითარი სახელმწიფო ხელისუფლება, სადაც არ იქნება სახელმწიფო.

ბურჟუაზიული კონსტიტუციებისა და ბურჟუაზიის ყოველგვარი პოლიტიკური დეკლარაციების სიყალბე ნათლად სჩანს თუნდაც შემდეგი მაგალითიდან. ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია, რომელიც საფრანგეთის ბურჟუაზიამ მიიღო 1789 წელს (საფრანგეთის პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის დასაწყისს), მე-6 მუხლში აცხადებდა: „კანონი არის საერთო ნების გამოხატულება. ყველა მოქალაქეს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს კანონის შექმნაში პირადად, ან თავის წარმომადგენელთა საშუალებით“.

მაგრამ ამავე ნაციონალურმა კრებამ, რომელმაც 1789 წლის აგვისტოში მიიღო დეკლარაცია, ოთხი თვის შემდეგ, იმავე წლის დეკემბერში, მიიღო საარჩევნო კანონის პროექტი, რომელშიც დადგენილი იყო მაღალი ქონებრივი ცენზი და რომლითაც ყველა ღარიბი ჰკარგავდა საარჩევნო უფლებას (ქონებრივი ცენზი არის კანონით დადგენილი პირობა, რომლის მიხედვითაც საარჩევნო უფლება ენიჭებათ მხოლოდ ამა თუ იმ რაოდენობის ქონების მფლობელთ, ან ისეთ პირებს, რომელთაც აქვთ ხელფასი არა უმცირეს განსაზღვრულისა, ჩვეულებრივ საკმაოდ მაღალი, დონისა). საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ საფრანგეთში დღემდე ქალები, ე. ი. ქვეყნის მთელი მოსახლეობის ნახევარი, აგრეთვე საფრანგეთის კოლონიების ძირითადი მცხოვრებლები (მათი რაოდენობა კი ერთნახევარჯერ სჭარბობს მთელი საფრანგეთის მოსახლეობას) აქამდე მოკლებული არიან საარჩევნო უფლებებს.

საბჭოთა პირველი კონსტიტუცია მიღებული იყო სრულიად რუსეთის საბჭოთა მე-5 ყრილობის მიერ 1918 წელს. მას ადგენდნენ ლენინის ხელმძღვანელობით და სტალინის უახლოესი მონაწილეობით. ამ კონსტიტუციის რსფსრ კონსტიტუციის, შემდეგ მიღებულ იქნა სხვა საბჭოთა რესპუბლიკების (უკრაინის, ბელორუსიის და სხვ.) კონსტიტუციები, რომლებიც დაიწერა 1918 წლის კონსტიტუციის ნიმუშის მიხედვით. 1922 წლის დამლევს 4 საბჭოთა რესპუბლიკა — რსფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ და ა.-კ. სფსრ — გაერთიანდა ერთ სახელმწიფოდ — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად. ამ კავშირის შემქმნელი, ისევე, როგორც სსრ კავშირის პირველი კონსტიტუციისა, რომელიც დამტკიცებულ იქნა 1924 წელს, იყო ამხანაგი სტალინი.

ეს კონსტიტუციები, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, არა მარტო აშკარად აცხადებდნენ თავის კლასობრივ ხასიათს, არამედ აშკარადვე ართმევდნენ პოლიტიკურ უფლებებს მშრომელთა ყველა კლასობრივ მტერს — დამხობილ მემამულეებს, ბურჟუაზიას, მეფის რეჟიმის მსახურთ, კულტების მსახურთ და სხვ.

ბურჟუაზიული კონსტიტუციები, ბურჟუაზიული ხელისუფლების ნამდვილი ხასიათის შენიღბვის მიზნით, სიტყვით აცხადებენ ხალხის უფლებებს. საქმით კი ყოველგვარი დამატებითი კანონების (უმთავრესად მოსახლეობის საარჩევნო უფლებების შესახებ) შემწეობით ფაქტიურად ართმევენ ან უკიდურესად უზღუდავენ მშრომელებს უფლებებს.

„სახელმწიფოსა და რევოლუციაში“ ლენინი სწერდა:

„თუ ახლო ჩავუკვირდებით კაპიტალისტური დემოკრატიის მექანიზმს, ყველგან — საარჩევნო უფლების „უკიდურეს“, ვითომდა უკიდურეს წვრილმანებშიც (ბინადრობის ცენზი, ქალების გამორიცხვა და სხვ.), წარმომადგენლობითი დაწესებულებათა ტექნიკაშიც, კრებების უფლების ფაქტიურ დაბრკოლებებშიც (საზოგადოებრივი შენობები „მათხოვრებისათვის“ როდია!), ყოველდღიური პრესის წმინდა კაპიტალისტურ ორგანიზაციაშიც და სხვაგან და სხვაგან ჩვენ დავინახავთ დემოკრატიზმის შეზღუდვას და მხოლოდ შეზღუდვას... ეს შეზღუდვანი, ერთად აღებულნი, გამორიცხავენ, უდევნიან ღარიბებს პოლიტიკიდან, დემოკრატიაში ფაქტიური მონაწილეობიდან“ (ლენინი, ტომი XXI, გვ. 430).

საბჭოთა კონსტიტუციები, რომლებიც მოჰქმედებდნენ ახალი, სტალინური, ამჟამად საერთო სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნებული კონსტიტუციის მიღებამდე, ერთი მხრით პოლიტიკურ უფლებებს ართმევდნენ ყველა კლასობრივად მტრულ ჯგუფს, მეორე მხრით, მშრომელთათვის აუქმებდნენ ყოველგვარ შეზღუდვას სქესისა, ეროვნებისა, წერა-კითხვის ცოდნისა, ბინადრობისა და სხვათა მიხედვით.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული კონსტიტუციები ცდილობენ მშრომელებს ჩაუნერგონ აზრი, რომ მეტისმეტად ფართოა მოსახლეობის „დემოკრატიული უფლებანი და თავისუფლებანი“ და იმავე დროს ჰქმნიან ათას დაბრკოლებას და ბურჟუაზიულ დემოკრატიას აქცევენ ყალბ, შეკვეცილ დემოკრატიად, დემოკრატიად მხოლოდ მდიდართათვის და მოტყუებად ექსპლოატირებულთა და ღარიბთათვის.

საბჭოთა კონსტიტუცია აწესებს ნამდვილ, ჭეშმარიტ დემოკრატიას, დემოკრატიას მშრომელთათვის და ჰქმნის პირობებს იმისათვის, რომ მშრომელთა უფართოესმა მასებმა ნამდვილად მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, სახელმწიფო აპარატის მუშაობის კონტროლში, ყველა მის ნაკლთან ბრძოლაში.

საყოველთაო სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნებული პროექტი ახალი, სტალინური კონსტიტუციისა ახალ გიგანტურ ნაბიჯს სდგამს საბჭოთა პროლეტარული დემოკრატიის ყველა მხარის შემდგომ გაშლაში. ახალი საბჭოთა კონსტიტუცია არის იმის აღბეჭდვა, რაც ფაქტიურად უკვე მოპოვებულია ჩვენი ქვეყნის მშრომელების მიერ პარტიისა და სსრ კავშირის ხალხთა, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი და ბრძენი ბელადის ამხანაგი სტალინის ხელმძღვანელობით.

◆

აკოფ აკოფიანი
(დაბადებიდან 70 წლის შესრულების გამო)

აკოფ აკოფიანი

მიყვარს...

როს ნახევრად გამდნარ ყინულს
ქოლგად ახურავს ცის სამყარო.
და ტყეს, თოვლქვეშ გადარკინულს,
ახავერდებს ბროლის წყარო.
როს ბავშვივით იფშვნეტს თვალებს
ყვავილთ წყება, ყვავილთ რიგი, —
მე ჩემში ვგრძნობ სულ სხვა ძალებს,
მიყვარს იგი!

როს შევცქერი მთების აბჯარს,
ზედ ფათალოს ასულს ობლად;
როს ტოროლა ჰანგებს ჰხარჯავს
ცის და მიწის მახარობლად, —
როცა ჯეჯილს ეკონება
სიოს ნანა, მზის ციგლიგი, —
ჩანგი ეთერს ემონება,
მიყვარს იგი!

და თუ უცბად ამ ლხენის დროს
ამოტყდება ცივი ქარი,
ლამობს ზეცა დაიმკვიდროს
ელვით, ჭექით, ნიაღვარით.
ჩემი სულიც ჰქუხს და ღელავს
იწვის მსხვერპლად, ვით ტარიგი,
წვიმა ჰაერს სწმენდს და ჰქელავს
მიყვარს იგი!

თარგმანი სომხურით
ი. გრიშაშვილისა.

□ □ □

მისასალმებელი დეპეშები

აკოფ აკოფიანის სახელზე, პოეტის დაბადებიდან 70 წლის შესრულების გამო მიღებულია სამოცამდე მისასალმებელი დეპეშა, მათ შორის: საკავშირო მწერალთა კავშირის პრეზიდიუმისაგან, უკრაინის, ბელორუსიის, სომხეთის, აზერბეიჯანის, სამხრეთ-ოსეთის საბჭოთა მწერლებისაგან, სომხეთის განათლების სახალხო კომისარ ამხ. ევიაზარიანისაგან, ამხ. მამია და მარიამ ორახელაშვილთაგან, ტაგანროგის მშრომელ სომეხ მოსახლეობისაგან და გაზეთ „ტაგანროგსკაია პრავდის" რედაქციისაგან, ახლახან უცხოეთიდან დაბრუნებულ მშრომელი სომხებისაგან და სხვ.

◇ ◇ ◇

საღამო მწერალთა სასახლეში

ხვალ, 25 ივნისს, საქ. საბჭოთა მწერლების კავშირი მწერალთა სასახლეში აწყობს სახალხო პოეტის აკოფ აკოფიანის დაბადებიდან 70 წლის შესრულების აღსანიშნავ საღამოს.

ა. აკოფიანის შემოქმედებაზე მოხსენებას გააკეთებს მწერალი ვ. ატრიანი. სიტყვებით გამოვლენ სანდრო ეული, პ. იაშვილი, ა. მაშაშვილი, მარჯანი, ჭ. ლორთქიფანიძე, გ. მესიანი, გ. პეტროსიანი. გ. შელოიანი. ა. აკოფიანისადმი მიძღვნილი ლექსებით გამოვლენ ს. ეული, გ. ხალათი, ე. გალჯიანი, გ. მიჩაჭიანი.

ა. აკოფიანის ლექსების ქართულ თარგმანს წაიკითხავენ: ი. გრიშაშვილი, ს. ეული, ვ. გაფრინდაშვილი და ვ. გორგაძე.

ა. აკოფიანის ლექსებს სომხურ ენაზე წაიკითხავენ სახელმწიფო სომხური დრამის არტისტები: დ. მალიანი, გ. ასლანიანი, კაჯვორიანი.

სომხური აკადემიური გუნდი ა. ტეროვანესიანის ხელმძღვანელობით შეასრულებს სიმღერებს ა. აკოფიანის ლექსების მიხედვით.

„სურამი"

საბჭოთა პროზა დღითი-დღე იზრდება, თანდათანობით ღრმად ეუფლება პოეტური სიტყვის მაღალ მწვერვალებს, მაგრდება იდეურად, უმჯობესდება ხარისხობრივად. ძველ კადრებთან ერთად გაიზარდნენ და გამოვიდნენ ახალი კადრები, რომელთაგან ზოგიერთი უკვე თვალსაჩინო ლიტერატურულ ფიგურას წარმოადგენს.

ახალგაზრდა პროზაიკოსებს შორის წერის კულტურით, პოეტური ოსტატობით, სოციალისტურ სინამდვილესთან უშუალოდ მისვლითა და განცდით, უთუოდ გამოირჩევა მოსე გვასალია. იგი, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, დიდ ნაყოფიერ ლიტერატურულ მუშაობას ეწევა. მან დაბეჭდა რამდენიმე მოთხრობა („აბრაგი" „ჯარისკაცი", „მეჯოგე", „ძილისპირი") და ცალკე წიგნად გამოსცა რომანი „სურამი".

თანამედროვე თემატიკა, შინაარსობრივი სიმდიდრე, მწერლის გამჭრიახი რეალისტური თვალი, მდიდარი პეიზაჟი, საინტერესო პოეტურ სალებავებში დახატული პერსონაჟები — აი რა ძირითადი საერთო ნიშნებით შეიძლება დახასიათდეს ეს რომანი.

რომანის სიუჟეტად მწერალს აღებული აქვს სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია. თემა მეტად აქტუალურია და დღემდის დაუმუშავებელი. მაგრამ რომანი უფრო საყურადღებოა. იმ მხრივ, რომ ახალგაზრდა მწერალს ეს საინტერესო თემა მხატვრულად დაუძლევია და დაუმორჩილებია. მთელი ეს 207 გვერდიანი რომანი შეუნელებელი ინტერესით იკითხება, კომპოზიციურად შეკრული, იგი დაწერილია საინტერესო ფაბულური განვითარებით, სათანადო მხატვრული კულტურით, პათოსითა და გულწრფელობით.

სასტიკი აღმართი წლების მანძილზე ადამიანის უბედურების მიზეზი იყო, არა ერთი და ორი მემანქანე შეუწირნია ამ უღელტეხილს. მრავალი „ცრემლი და სისხლი" დაღვრილა სურამის უღელტეხილზე. უღელტეხილის მძიმე ისტორია ადამიანთა სისხლით არის დაწერილი. დამსხვრეულ ვაგონებითა და ორთქმავლებით ამოვსებული ხრამები. მემანქანეების ცრემლით განბანილი სურამი მოგვითხრობენ, თუ როგორ იტანჯებოდა წლობით აქ ადამიანი. რომანში მკვეთრად არის დაჭერილი ეს მომენტი. ბლიაძის ოჯახი ამ დაღმართზე ამოწყდა. 70 წლის მემანქანეს ერთადერთი შვილი, განთქმული მემანქანე გიორგიც აქ მოუკვდა.

უღელტეხილზე მატარებლების დამსხვრევის საშინელი სურათი, მოკლედ, უბრალო სიტყვებითაა გადმოცემული. აქ გრძნობთ მთელ იმ საშინელებას, რომელიც თავზე ატყდებოდათ მემანქანეებს. ყველაფერი ეს ცოცხლად არის დახატული. თითქოს ხელით ეხებოდეთ, თითქოს თქვენ თვალწინ ხდებოდეს ამბავი.

რომანის მთავარი გმირი ბესარიონ ლობჟანიძეა: სურამის ელექტროფიკაციის ინიციატორი, ექსპედიციის ხელმძღვანელი და ბოლოს მშენებლობის მთავარი ინჟინერი. რომანის მთელი სიუჟეტი მის გარშემო ტრიალებს. მისი სახით მკვეთრად არის მოხაზული საბჭოთა ქვეყნის ახალი ადამიანი. იგი ნამდვილ ბოლშევიკის ტიპია, ამ ადამიანში მთელი სისრულით ჩანს სოციალისტური ქვეყნის ახალ ადამიანთა დამახასიათებელი თვისებანი. ლობჟანიძემ მთელი თავისი ენერგია, ცოდნა და გამოცდილება უღელტეხილის ელექტროფიკაციას მოახმარა.

უღელტეხილის ყოფილი მემანქანე, ამჟამად მშენებლობის ხელმძღვანელი და ინჟინერი, მებრძოლი კომუნისტი, ვაჟკაცი, „ქვასავით მტკიცე ადამიანი", რომელიც დღეს ასე საამაყოდ მოევლინა სურამს და „მთელ ცხოვრებას ძირფესიანად შერყევას უპირებს". ადამიანი, რომელმაც „მთვლემარე დაბას ბობოქარი სიცოცხლე მიანიჭა, რომლის თავდაბლობა და უბრალოება მთელი ქვეყნის სალაპარაკო შეიქმნა". აი ვინ არის ლობჟანიძე. იგი სურამში უყვართ და აფასებენ. „საზოგადოებამ იგი უკვე შემოსა უაღრესი პატივისცემისა და სიყვარულის ბრწყინვალებით.". ლობჟანიძემ საკუთარ მხრებზე გადაიტანა მშენებლობის მთელი სიმძიმე. იგი შემომქმედია სურამის უღელტეხილისა, ყოველი საქმის წამომწყები და ინიციატორი.

ახალგაზრდა მწერალმა შესძლო მოეცა ბოლშევიკის მეტად საინტერესო სახე. ლობჟანიძეში მთელი სისრულით ჩანს ახალი საბჭოთა ადამიანის პათოსი და თავდადება.

რომანში მას უპირდაპირდება ბურჟუაზიულ-მეშჩანური წრიდან გამოსული ძველი ინჟინერი იოსებ ბაბუციძე. მავნებლის, კლასობრივი მტრის სახეა მოხაზული მასში. ძველი ინჟინრის მიზანია ჩაშალოს სურამის ელექტროფიკაციის გეგმა. მას ჰყავს თანამოაზრეები. ბაბუციძე უპირდაპირდება კომუნისტებს, ხალხის ბედნიერებას. „განა კომუნისტები ხალხის ბედნიერებისათვის აშენებენ! მათ ეს თავიანთი გამარჯვებისთვის უნდათ. სწორედ ასეა. და რადგანაც ასეა, ბრძოლა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უნდა გაგრძელდეს". მაგრამ პარტიის ფხიზელ თვალს არ გამოეპარება ბაბუციძისა და კლასობრივი მტრების მავნებლური მოქმედება. ბოროტმოქმედება აღმოჩენილია. რჩება მარტოდ-მარტო ბაბუციძე. იგი მაინც არა ჰყრის ფარ-ხმალს და აგრძელებს მავნებლურ მოქმედებას.

„რამდენ გეგმას აწყობდა ბაბუციძე, რამდენ ოცნებას ერთმანეთზე აბამდა და შემდეგ ესენი ბოლოს ყველანი ამაოდ გაცუდდნენ".

„იოსებს კაჟივით გული ჰქონდა. შეუცვალეს, დაუძაბუნეს და დაუსუსტეს. მიზანი და რწმენა გაუცამტვერეს, იმედი მოუსპეს, ფრთები დასჭრეს და უსასოდ დააგდეს. ამხანაგები და მეგობრები ჰყავდა. დაუკარგეს, დაუწიოკეს და დარჩა მარტო იოსებ ბაბუციძე, მეტი არავინ ამ ქვეყანაზე". ინჟინერი ქალი გალინა ბაბუციძის მეგობარი და ხასაა. იგი იძულებული გახდა გაემჟღავნებინა ბაბუციძის მავნებლური მოქმედება რადგან მავნებლურად დადგმული საკისრები უკვე შენიშნა დამკვრელმა მუშამ ა. მჭედლიძემ.

რომანის მეორე სიუჟეტური რკალი მოცემულია ახალი ადამიანის — მუშა მჭედლიძის თავგადასავალში. სურამის უღელტეხილზე დაიბადნენ და გამოიზარდნენ ახალი ადამიანები. მჭედლიძის სახით მოცემულია სოციალისტური წარმოების ახალი ადამიანი. რომანში ეს ადამიანი იზრდება საბჭოთა ინჟინერ ლობჟანიძის მზრუნველობით. უკანასკნელის გავლენა იმდენად დიდია მჭედლიძეზე, რომ იგი მთელ რიგ მომენტებში ლობჟანიძეს ემსგავსება მოქმედებით, ცხოვრებითა და საქმით.

უნდა აღვნიშნოთ ზოგიერთი ნაკლიც. მწერალი ხშირად იმეორებს თემებსა და სახეებს.

რომანის ერთერთი გმირის — გალინას სახე მეტისმეტად სენტიმენტალურად არის მოხაზული. გაორებული გმირი ბუნდოვანია და მკრთალი.

რომანში არ არის დაცული ერთი ზომა იგი იწყება დიდი ექსპრესიით, შემდეგ კი თანდათან-დუნდება და ეშვება.

აღნიშნულ ნაკლს განსაკუთრებით იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ მწერალი მ. გვასალია დიდს შემოქმედებითს აქტივობას იჩენს, თანდათან იზრდება და იპყრობს ახალ პოეტურ ხერხებს. ამიტომ საჭიროა ამ ნაკლის აღნიშვნა, რომ მწერალმა იგი დასძლიოს შემდეგს შემოქმედებითს მუშაობაში.

ს. ჭილაია.

◇

კოლმეურნე მკითხველთა კონფერენცია

საქ. კ.პ. (ბ) ჯულელის რაიკომის თაოსნობით, საქ. საბჭოთა მწერლების კავშირმა ჯულელის რაიონში ჩაატარა კოლმეურნე მკითხველთა კონფერენცია, რომელსაც 250-მდე კოლმეურნე დაესწრო.

კონფერენცია გახსნა ჯულელის რაიკომის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგემ ამხ. ბარათელიამ.

მასებში მხატვრული ლიტერატურის ფართოდ გატანის მნიშვნელობაზე მოხსენება გააკეთა საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის წარმომადგენელმა პოეტმა ვასო გორგაძემ.

— ახლა, როდესაც კოლმეურნენი შეძლებული ცხოვრების გზას დაადგნენ, — განაცხადა მომხსენებელმა, — განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა სოფლად ლიტერატურულ-კულტურული მუშაობისათვის. უკანასკნელ ხანებში საქმე გვაქვს კოლმეურნე მკითხველის გაძლიერებულ აქტივობასთან. საქართველოს ზოგიერთმა რაიონმა — ლაგოდეხმა და თელავმა ფრიად საინტერესო თაოსნობა გამოიჩინა, მათ შემოიღეს მხატვრული ლიტერატურის კითხვის მინიმუმი, რომელიც სავალდებულოა რაიონის მთელი მშრომელი მოსახლეობისათვის. ყოველ მოზრდილ კოლმეურნეობაში არსებობს სალიტერატურო წრე, იქმნება მდიდარი ბიბლიოთეკები, ხდება ნაწარმოებათა საჯარო განხილვა, იმართება მკითხველთა მასობრივი კონფერენციები. გაწეული მუშაობის შედეგებიც თვალსაჩინოა. ახლა საჭიროა საქართველოს დანარჩენი რაიონები გამოეხმაურონ ამ თაოსნობას.

ამხ. გორგაძის მოხსენების გარშემო აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა გაიმართა.

კამათში პირველად გამოვიდა პალატყის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. გაცერიძე, რომელმაც აღნიშნა კოლმეურნეობასთან არსებული სალიტერატურო წრის მუშაობის სუსტი მხარეები.

როდინოულის კოლმეურნეობის წევრმა, გლეხმა მწერალმა ამხ. ჩუბინიძემ კონფერენციაზე წაიკითხა საკუთარი ლექსი, რომელიც გამოხატავს დღევანდელი სოფლის ყოფაცხოვრებას. ამხ. ჩუბინიძემ კრებას გაუზიარა, თუ რა მუშაობას ეწევა ლიტერატურის პროპაგანდის ხაზით საკუთარ კოლმეურნეობებში.

საზანოს კოლმეურნეობის წევრმა ამხ. ვენეტაძემ განაცხადა: — ჩვენ, კოლმეურნეთა ერთმა ჯგუფმა, გადავწყვიტეთ კოლექტიურად წავიკითხოთ და გავარჩიოთ შოთას უკვდავი ქმნილება „ვეფხისტყაოსანი". პირველი ნახევარი უკვე წავიკითხეთ. „ვეფხისტყაოსნის" ზოგიერთი ადგილი წინათაც ვიცოდით ზეპირად, ახლა ბევრი რამ ახალი გავიგეთ, მოგვეწონა და დაგვამახსოვრდა. მაგრამ ჩვენს კოლმეურნეობაში ისეთი წევრებიც არიან, რომლებიც მხატვრულ ლიტერატურას არ კითხულობენ, მათ შორის კი სათანადო მუშაობა არ სწარმოებს.

კამათის შემდეგ პოეტმა ვ. გორგაძემ წაიკითხა ავთანდილის ანდერძი — „ვეფხის — ტყაოსნიდან", ნაწყვეტი ი. ჭავჭავაძის „აჩრდილიდან", აკაკის „ხანჯალი" და „ინტერნაციონალი", ვაჟას „ფშაველი ჯარისკაცის წერილი" და საკუთარი ლექსები „ვაჟა" და „სტალინი".

კონფერენციამ მიიღო ლიტერატურული მინიმუმი და დასახა ღონისძიებანი რაიონში სალიტერატურო წრეების მუშაობის გამოცოცხლების უზრუნველსაყოფად.

დასასრულ, კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა, ა.-კ. ბოლშევიკთა ნაცად ხელმძღვანელს, ამხ. ლ. ბერიას.

მკითხველთა კონფერენციები, რომლებიც უკვე ჩატარდა საქართველოს რამდენიმე რაიონში, სანიმუშო უნდა გახდეს დანარჩენი რაიონებისათვის. მთავარია, რომ კონფერენციები უაღრესად საქმიან ხასიათს ატარებდეს და წინასწარ სათანადოდ იყოს მომზადებული. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მოგვცემენ კონფერენციები კარგ შედეგს

აკოფ აკოფიანი

პროლეტარული ლიტერატურის ვეტერანს, ბოლშევიკ პოეტს აკოფ აკოფიანს 70 წელი შეუსრულდა. ამ დღის საქართველოს მშრომელნი განსაკუთრებული ყურადღებით აღნიშნავენ, რადგან სომეხი ხალხის ღირსეული შვილის, რევოლუციის დიდი მგოსნის ა. აკოფიანს მაღალი პოეტური შემოქმედება განუყრელად არის დაკავშირებული ჩვენ ხალხთან. ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ 1923 წელს, როდესაც პოეტს ლიტერატურის ასპარეზზე ნაყოფიერი მოღვაწეობის 30 წლის იუბილე გადაუხადეს, მას სომხეთის და საქართველოს რესპუბლიკის სახალხო პოეტის სახელწოდება მიანიჭეს.

ამიერ-კავკასიაში მხოლოდ ა. აკოფიანს ხვდა წილად მოეხვეჭნა ესოდენ დიდი და საამაყო სახელი, ყოფილიყო ორი მოძმე რესპუბლიკის სახალხო პოეტი. ეს სახელწოდება მან სავსებით სამართლიანად დაიმსახურა ხანგრძლივი ნაყოფიერი ლიტერატურული შრომითა და მოღვაწეობით.

აკოფ აკოფიანის სახელი ნაცნობია და ახლობელი მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთათვისაც, როგორც ერთერთი პირველი პროლეტარული პოეტისა, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა ოქტომბრის წინადროინდელ რევოლუციურ მებრძოლ პოეზიაში.

„აკოფ აკოფიანის შემოქმედებაში, — სწერდა ა. ვ. ლუნაჩარსკი, ყველაფერზე ორიგინალური თავისებური ის იყო, რომ ა. აკოფიანი იყო არამარტო პოეტი რევოლუციონერი, — პოეტი რევოლუციონერები მანამდეც იყვნენ რუსეთის და ევროპის ლიტერატურაში — არამედ ის რომ აკოფიანი იყო პოეტი სოციალ-დემოკრატი ამ სიტყვის მაშინდელი საუკეთესო გაგებით, პოეტი ბოლშევიკი, პროლეტარული პოეტი".

ა. აკოფიანი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა რუსეთსა და ამიერ-კავკასიაში კაპიტალიზმის გაფურჩქვნისა და აყვავების პერიოდში. ეს იყო მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე აქტიურად გამოდიოდა ამომავალი კლასი—ბურჟუაზია; ეს იყო რუსეთში ქალაქების, ინდუსტრიის, ტექნიკის ზრდისა და აღმავლობის ხანა, რის პარალელურად მიმდინარეობდა პროლეტარიატის ზრდისა და კლასობრივი ჩამოყალიბების პროცესი.

ახალგაზრდა პოეტი მოწამე იყო ამ უდიდესი სოციალური ძვრებისა. ღარიბი ხელოსნის შვილი, იგი პატარობიდანვე მოექცა საზოგადოების „ფსკერზე". განჯის გიმნაზიის მეექვსე კლასიდან მოწაფეთა ნებადაურთველ წრეებში მუშაობისათვის და ანტირელიგიური ლექსის „ყორანის" დაწერისათვის იგი გამორიცხულ იქნა ყოფაქცევაში ცუდი ნიშნით. ა. აკოფიანი ლუკმა-პურის საძებნელად ტფილისში მოდის და აფთიაქში მუშად ეწყობა. აქ მან გამოსცადა არაადამიანური შრომის მაშინდელი ჯოჯოხეთური პირობები, რომელიც გაბატონებული იყო ყველგან, სადაც კი კაპიტალს დაქირავებული მუშახელი ჰყავდა. მალე პოეტი იძულებულია გაიქცეს ბაქოში, სადაც ჯერ ისევე აფთიაქში ეწყობა მუშად, შემდეგ ნავთის სარეწაოში. ამ გარემოებამ უდიდესი გავლენა იქონია ა. აკოფიანის მომავალ ცხოვრებაზე. ბაქოს სარეწაოები მის ნამდვილ სკოლად იქცა. მშიერმწყურვალი, ველური ექსპლოატაციისა და ჩაგვრის ობიექტად ქცეული, იგი ეძებს იმ გზას, რომელსაც უნდა გაჰყვეს მუშათა კლასი. ამ ძიებამ პოეტი ბუნებრივად მიიყვანა ბოლშევიზმამდე.

ა. აკოფიანი უპირველესად უახლოვდება ლეგალურ მარქსისტებს, აქტიურად მონაწილეობს რევოლუციურ გამოსვლებში. გაფიცვებსა და დემონსტრაციებში. 1891 წელს ის უკვე მონაწილეობს ბაქოს პირველ მაისობაში. ბაქოშივე უახლოვდება ის იტალიელ [illegible] მუშებს, მათთან გადადის საცხოვრებლად და [illegible] იტალიურ ენას, რომ შემდეგ წარმატებით სთარგმნის ადა ნეგრის რევოლუციურ ლექსებს. ბაქოშივე განიცადა მან ჟანდარმერიის დევნა და შევიწროვება. ერთხანს ის მთელი ექვსი თვის განმავლობაში უმუშევარია და მშიერმწყურვალი ამაოდ დაეძებს სამუშაოს. ბოლოს „კანტორშჩიკად" ეწყობა, მაგრამ ვერც აქ იმაგრებს ფეხს.

ბაქოს პერიოდი პოეტის ცხოვრებაში უაღრესად დიდი მნიშვნელობის ხანაა. მაგრამ არანაკლებ საყურადღებოა მისი რევოლუციური მუშაობა ცხრასიან წლებში ტფილისში.

ბაქოდან გამოდევნილი ა. აკოფიანი ისევ ტფილისშია. აქ ბეჭდავს ის თავის პირველ ნაწარმოებებს სომხურ გაზეთ „მურჩში" („ჩაქუჩი"), აქტიურად განაგრძობს წრეებში მუშაობას. 1900 წელს პირველმაისობის დემონსტრაციაში მონაწილეობს. სომხურად სთარგმნის „მარსელიოზას", „ინტერნაციონალს", აქტიურად მუშაობს მაქსიმ გორკის ნაწარმოებთა თარგმანზე, აქვეყნებს საკუთარ ლექსებსაც.

1901 წელს ის უკვე იმდენად ცნობილი რევოლუციონერია, რომ დაშნაკების ორგანო „დროშაკში" გამოქვეყნებულ რუსეთის ხელისუფლებისათვის „განსაკუთრებით საშიშ" პიროვნებათა სიაში მოჰყვა. აქედან იწყება მისი გაძლიერებული დევნაც.

1904 წელს ა. აკოფიანი ოფიციალურად შედის ბოლშევიკურ პარტიაში და აქტიურად ებმება არალეგალური ბოლშევიკური გაზეთის „ბრძოლის" გამოცემის და თარგმნის საქმეში. მძიმე რეაქციისა და შემდეგ რევოლუციური აღმავლობის პერიოდში, იმპერიალისტური ხოცვაჟლეტისა და მენშევიკების ბატონობის საშინელ წლებში, აკოფ აკოფიანი იყო შეურყეველი, მტკიცე ბოლშევიკი, ლენინის და სტალინის საქმის განხორციელებისათვის თავდადებული მებრძოლი.

ასეთია სასახელო გზა, რომელიც განვლო მტკიცე მებრძოლმა ბოლშევიკმა პოეტმა ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

მწერლის ამ მდიდარ რევოლუციურ ბიოგრაფიას ფეხდაფეხ მიჰყვება მისი შემოქმედებითი პრაქტიკა.

სომხურ პოეზიაში ა. აკოფიანმა პირველმა უმღერა ქალაქს. მის ლექსებში პირველად გაისმა მანქანების, დაზგებისა და ქალაქების ქუჩის ხმაური, პირველად გაისმა შრომის დიდებული ჰიმნი და ახალი „სამოქალაქო მოტივები". ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც სომხეთის პლუტოკრატია, ბურჟუაზიული ნაციონალისტური ლაყბობით გართული, ყვავილების და ბულბულების „წმინდა პოეზიას" უკმევდა გუნდრუკს.

არა, სრულებით არ ვგავარ მე
თქვენ საყვარელ პოეტებს.
მათ გალობაში ჩემი ხმა გაისმის
მკვეთრად და უცხოდ.
მე ვუმღერ შრომას. ქარხნის
ბოლში გახვეულ შრომას.

აი ეს იყო ახალგაზრდა პოეტის მისწრაფება, რომელსაც ის ორმოცწლიწადზე მეტხანს დაუღალავათ ემსახურება.

აკოფ აკოფიანი ერთერთი ყველაზე მოწინავე და თანამიმდევარი ურბანისტია. მაგრამ მისი ურბანიზმი კლასობრივად პროლეტარულია. აკოფიანი მკვეთრი კონტრასტებით ანსხვავებს ქალაქის მუშათა პროლეტარულ, ღარიბ-ღატაკთა ფენას, ბურჟუაზიულ კაპიტალისტურ მექთახოურ ფენებისაგან. მას სწამს მუშათა კლასის გამარჯვება. ა. აკოფიანი უმღერის რევოლუციურ აღტყინებას, უმღერის ბრძოლის წყურვილს. ეს საბრძოლო მოტივები განსაკუთრებული სიმძლავრით ახლავს ა. აკოფიანის პოეზიას და მკვეთრად ანსხვავებს მას ბურჟუაზიული დეკადანსის ურბანიზმისაგან. მისი ლექსები საბრძოლო ჰიმნია. პროლეტარული რევოლუციის მოწოდებაა. ის გამთბარია უმაღლესი ენტუზიაზმით და პოეტური გულწრფელობით.

აკოფ აკოფიანს ბევრი რამ აკავშირებდა ვერჰარნთან. მას ჩვეულებრივად სომხეთის ვერჰარნს ეძახდნენ. სტეფანე შაუმიანი, ერთერთ წერილში შემდეგს სწერდა ა. აკოფიანს: „თქვენი პოემა („ახალი დილა")—შესანიშნავი ქმნილებაა, თქვენ ძალიან მოხდენილად გადმოეცით თქვენი ძირითადი იდეა და შექმენით ნამდვილი პოეტური სურათი. საერთოდ თქვენ ვერჰარნის ძარღვი გაქვთ. ამ პოემით თქვენ კიდევ უფრო უახლოვდებით ვერჰარნსო"...

აქტიური სამწერლო მოღვაწეობა ა. აკოფიანმა 1905 წლიდან დაიწყო. ამ პერიოდში ის სწერს შესანიშნავ ნაწარმოებებს: „ჩემი ქვეყანა", „ცეცხლფარეში", „ქარხანა", „რევოლუცია", „მჭედლის სიმღერა", „მოკვდნენ, მაგრამ არ დაკარგულან", „დასჯილნი", „მოდიან, მოდიან", ხოლო 1909 წელს აქვეყნებს დიდ პოემას „ახალი დილა"; ეს ნაწარმოებნი, მაშინდელ რევოლუციურ სომეხ მუშათა შორის უდიდესი პოპულარობით სარგებლობდნენ. ამ ნაწარმოებებს მოჰყვა ახალი ლექსები „ნაციონალისტებს", „მეცხრე ტალღა" და სხვა, რომელთაც ა. აკოფიანს მოწინავე პოეტის და სიტყვის ოსტატის სახელი მოუხვეჭეს.

ა. აკოფიანი ბედნიერი პოეტია. იგი მუშათა კლასის საქმის გამარჯვების მოწმე გახდა. ოქტომბერს აკოფიანი შეხვდა ბრწყინვალე, აღგზნებული საბრძოლო ლექსებით.

იგი დღესაც აქტიურად მუშაობს. აღსანიშნავია მისი ლექსები და პოემები: „ვოლხოსტროი", „ქარხნის სიყვარული", „გამოღვიძება", „ზაჰესი", „სტეფანე შაუმიანი".

მისი უკანასკნელი ლექსები „კოლხიდა", „საბჭოთა საქართველოს ხუთმეტი წელი", „სერგო ორჯონიკიძე" და სხვ. რომელნიც მიმდინარე წელს გამოქვეყნდა, მეტად ნათელი ფერებით გვიხატავენ სოციალისტური მშენებლობის პროცესებს.

თავისი სიცოცხლის საუკეთესო ნაწილი ა. აკოფიანმა საქართველოში გაატარა. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ტფილისის პროლეტარიატთან და სამართლიანად სარგებლობს ამიერ-კავკასიის მშრომელთა საყოველთაო სიყვარულით.

მ. მ.

ერთი წლის წინათ

1935 წ. 21 ივნისს პარიზში შეიკრიბა კულტურის დაცვის მსოფლიო კონგრესი. კონგრესზე შეიკრიბნენ მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენლები ანდრე ჟიდის, ანრი ბარბიუსის, რომენ როლანის, ანდრე მალროს, ჰენრიხ მანის და სხვათა მეთაურობით, რათა თავიანთი ხმა აემაღლებინათ ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ, კაცობრიობის კულტურული მონაპოვრების დასაცავად.

საბჭოთა კავშირის დელეგაციაში შედიოდა საქ. რესპუბლიკის სახალხო ორდენოსანი პოეტი ამხ. გალაკტიონ ტაბიძე. ქვემოთ ვაქვეყნებთ რამდენიმე ლექსს პარიზის კონგრესის ციკლიდან.

□ □ □

გალაკტიონ ტაბიძე

100, 100 და კიდევ 100 ლექსი

ჩანგო! ბევრი კარგი დრო ქვეყნად გვიტარებია.
უსულგულო ცხოვრება ჩალას გვიდარებია.
საქართველო — პარიზი სხვადასხვა ქნარებია,
ჩანგო, დამიმტკიცე, რომ სიმართლე გვყვარებია,
ჩანგო! ჩვენ ხომ ხალხისთვის ბრძოლა არ გვზარებია,
მოღრუბლულხარ, ეშხითაც გამოგიდარებია,
ასი. ასი და კიდევ ას სიმღერის ხმებია,
რაც კი თვალს დაუნახავს დაგულს გაჰკარებია.
ჩანგო! ბევრი კარგი დრო ერთად გვიტარებია!

იმ დღეს რომ იყო

იმ დღეს რომ იყო კოხი და თქეში, პარიზზე ქარის რომ ჰქუხდა სვეტი,
მძლავრმა გრიგალმა ბულონის ტყეში ხე ამოგლიჯა: ექვსასზე მეტი!
ძირფესვიანად გულაღმა დაწვა გადალეწილი ალვა და წაბლი,
თანაბრად გრძნობდა სიტყვას: თავდაცვა! — უბრალო ჩიტი და დირიჟაბლი.

ვერსალისაკენ განადგურების აზვირთებული ტბა მიედინა,
შემდეგ ეკვეთა რადიოსადგურს და კაბინებს ხმა ჩააწყვეტინა.
როგორც ქალს შიშველს სულით და ხორცით ბულვარს ის სეტყვა სცემს კმაყოფილი,
აცურდა ქუჩა, ნაგები ტორცით. ნიაღვარს მიაქვს ავტომობილი.
და საოცარი ისმოდა მარში, როს ქარი ჩადგა და გზები მოშრა:
ამგვარ პარიზში, ამნაირ ქარში ავაფრიალეთ კონგრესის დროშა!

ანდრე ჟიდი და ანდრე მალრო

ბერიკაცს ქუდი წარბამდე ხურავს
ჭაბუკს კი გვერდად.
მაგრამ კონგრესის ჭერს და სახურავს
აგებენ ერთად.
სახალხო ფრონტის აგებას უცდის
თვალთ-ელვა შუქის —
აღფრთოვანება როგორც მოხუცის,
ისე ჭაბუკის
ორივესია ივნისის გული,
ეს მზე, ეს სიო.
ეს ხმაურობა და გაზაფხული
ორივესია.
არც ერთს არ ეტყვის მისთვის სამდურავს
ეს სიმაისე —
ანდრე ჟიდს ქუდი რომ ასე ხურავს,
მალროს კი ისე.

ანდრე მალრო

უმცროსმა ჩემზე რამდენიმე წლით ცხოვრებას ადრე კვალი უძია,
როცა ჰკითხავენ: საით, რომელ გზით? ის ამბობს: სადაც რევოლუცია!
გულით ამტანი მრავალთა ბედის, იგი პარიზის პოეტთა რაზმით
სამოქალაქო გრიგალში შედის ჯერ არსმენილი ენტუზიაზმით.
როგორ უყვართ ის! ის ჩვენთან არის. ის, ვისაც მედგრად და უანგაროდ,
ცეცხლში და წყალში, ახალგაზრდობა, რომ თან გადაჰყვეს მზადაა მარად!

მწერალი გრიმით— პარიზის კონგრესზე

ჰგავდა კონგრესის კულუარები, ჯერ დამშვიდებულ სტიქიის მორევს,
გერმანიიდან მიღებულ ამბებს უზიარებდნენ ერთიმეორეს.
ემიგრანტია დღეს ჰენრიხ მანი, ფეიხტვანგერიც ემიგრანტია,
მაგრამ მომავალ შეტევის ცეცხლი, არალეგალურ ნისლში ანთია.
არც ერთ მწერლობას არ განუცდია ის, საშინელი ცხოვრების დრამა
რომელიც წილად ხვდა გერმანიას, რომელმაც მტერი გაათამამა.
დელეგატები ბჭობდნენ ხმადაბლა და ხმაც მცირეა, როგორც ატომი,
დელეგატები ბჭობენ ხმადაბლა, ტრიბუნასთან კი დგას ორატორი.
იმ პირობებში, როდესაც მუშას სიკვდილით სჯიან ცენტრში ევროპის,
მხოლოდ იმიტომ რომ რემედასის აღმოუჩინეს წიგნი წევრობის,
პოეტი მაინც აბერხებს სუნთქვას, პოეტი გმირულს რაიმეს სჩადის,
დელეგატები ბჭობენ ხმადაბლა და ტრიბუნაზე უცნობი ადის.
ამ დროს დარბაზში სინათლის თითქო მოულოდნელად შენელდა შუქი.
სამარისებურ სიჩუმის წამებს სთვლი: მოხუცია ის თუ ჭაბუკი?
იგი გრიმშია. შავ სათვალეებს იდუმალება სდევს უჩინარის
სამარისებურ სიჩუმის გარსში დგას და არავინ იცის; ვინ არის?
სდუმს მიკროფონი: ვერც გერმანია და ვერც სხვა უცხო ქვეყნების რიგი,
რადიოს მძაფრი გამოძახილით ვერ გამოარკვევს: ვინ არის იგი?
და მღელვარე ხმით იწყებს უცნობი: „ჩვენი მხურვალე სალამი კონგრესს,
რომელიც სულის თავისუფლების ზავის და წინსვლის მებრძოლებს მოჰკრებს.

ჩვენში ადვილი არაა ბრძოლა. ამ იდეების მკაცრი მტერია
ადგილი, სადაც კონცლაგერია, სადაც მესამე დგას იმპერია.
გათელილია სიმართლის სიტყვა, ყველასი, ვინაც გულს ამოიხვევს
და საწამებლად მიჰყავთ ყოველი, ყოველი, ვინაც ხმას ამოიღებს.
მიუხედავად ამისა, ჩნდება, როს მოთმინების ივსება სურა,
არსებობს დიდი, არალეგალი და მეომარი ლიტერატურა.
სწერ მანქანებს უზის ასობით, მოლოდინში რომ, როგორც გეენა
კარს შემოაღებს პოლიციელი და მოიკითხავს: რასა სწერთ თქვენა?
მე არ დავიწყებ საუბარს მასზე, თუ როგორია ჩვენი ცხოვრება,
თუ გერმანიას ვით მოადგა კარს სუსხი კრიზისის, გამათხოვრება.
გიამბობთ ამას ამ რომანების და მოთხრობების ჩუმი გატანა,
რომელიც შექმნა იატაკის ქვეშ და ჯგუფმა მე აქ გამომატანა.
და არ არსებობს არავითარი მიხაკისფერი ცივი კედელი,
რომ დაგვაშოროს და შეაფერხოს თქვენსკენ ლტოლვა განუწყვეტელი.
როდესაც გზებით შეუძლებელით. ჰენრიხ მანნ; მოგვწვდა თქვენი წერილი,
როს გერმანელი მწერლების წყება პარიზიდან გვწერს გულდასერილი,
ბარბიუსის და რომენ როლანის როს წავიკითხეთ ჩვენ მოწოდება,
გულმა კვლავ ძლიერ დაიწყო ცემა და ჩვენი თავი არ გვეცოდება:
როცა გავიგეთ, რომ ანდრე მალრომ ჩვენი ყოფნიდან შემოსა თემა,
გულმა შეიგრძნო ის სიხარული და უფრო ძლიერ დაიწყო ცემა.
ჩვენი სალამი ემიგრანტ მწერლებს! სულ ამაოა, რაც თქვენ დაგმართესთ,
თქვენ სამშობლოდან გამოგაძევესთ, მაგრამ სამშობლო თქვენ ვერ წაგართვესთ.

ხომ პოეტების, მოაზროვნეთა და ჯალათების იყო ქვეყანა,
მაგრამ სამშობლო ადოლფ ჰიტლერის — არა, არაა ეს გერმანია!
და გერმანია ხვალინდელი დღის, თავისუფლებით, ახალი სიბრძნით,
დღეს იბადება ეს გერმანია! აი რისთვის ვსწერთ და რისთვის ვიბრძვით"!
უცნობი, გრიმში, სცენიდან გაჰქრა, ის გაჰქრა მაგრამ მთელი დარბაზი
ვით ერთი კაცი, აღელვებით დგას, თითქოს სვეტებსაც გააქვთ ბარბაცი.
მზნე ტაშისცემის გრგვინვა-ქუხილი, დღის გენიით ნაჭედი სიტყვა
ჰფეთქდა მზე ნიჭი და ენერგია—ენტუზიაზმში რაც იმ დღეს ითქვა.
ეს იყო ვრცელი, დიდი პოემა. ედგარ პოს სიტყვა თუ მართალია,
რომ პოემაში, როგორც რომანში, ან ნოველაში — რაც კი ძალია,
ყოველი უნდა ისწრაფებოდეს კარგი დასკვნისკენ — უცნობის გრძნება,
შედეგი მისი დიდი გამოსვლის — იყო პროტესტი და აფეთქება.
მან მთელ კონგრესზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება დასტოვა ფიცის.
იყო გრიგალი, მაგრამ ვინ იყო და ან ვინ არის? არავინ იცის.

ჰანრი ბარბიუსი კონგრესზე

ბრწყინავს დარბაზი. სინათლე ნაზი, როგორც ნანატრი რამ ფეერია
იატაკიდან ჭერს შეერია და ელვარების მისცა სიხვლე.
როგორც სიზმარი რამე ნანატრი გადაეხვევა ათასფერ მინას
ასე დიადი სასახლე ბრწყინავს, შეთანხმებისა ბრწყინავს სასახლე.
რა მორიდება და დიდი ხათრი, რა სიყვარული ხალხის სწერია
გამოძახილში: მშვენიერია! ბარბიუსის სიტყვა! მისი მეტადრე.
ამ გამოძახილს იმ მომენტს ვადრი, როდესაც ცეცხლი ადუღებს რკინას,
დიდ იდეით თეატრი ბრწყინავს, გამარჯვებული ბრწყინავს თეატრი.
პრეზიდიუმში ჩემს გვერდით წყნარი და მოღიმარე ზის ბარბიუსი,
მას აქვს ღიმილი დუვიწყარი, თვალებშიც ნაზი, ლურჯი ბურუსი,
პარიზთან მჭიდროდ გადახრდილია ბარიკადები წითლად ნაბანი
ეს პერ-ლა-შეზი, ეს ბასტილია, ზარბაზნების ხმა და ბარაბანი.
გარეთ ფაშისტი დადის იოლად სადაც პალმების მწვანე ქაფია,
მან უნდა არა კარმანიოლა, არამედ დუჩეს ბიოგრაფია.
სახალხო ფრონტს და ინტერნაციონალს სურს ხალხში მკვიდრად გაიდგას
ფესვი
მის ბრწყინვალე და მზიურ მომავალს ეხმაურება ჩვენი კონგრესი.
ამაოდ ფაშიზმს სურს ლაარბიოს, ის სიცოცხლესთან თამაშს ვერ იგებს,
არა ერთს და ორს ჰანრი ბარბიუსს დაუკავშირებს მებრძოლთა რიგებს.
ამაოდ სიკვდილს სურს დასცეს გმირი და ამოგლიჯოს საგულეს გული,
თვით დაეცემა, გულ განაგმირი სიცოცხლის ცეცხლით შემობუგული.
ახალი გზისთვის ჩვენ მიგვიგნია, მსოფლიო ცეცხლით, მსოფლიო ცეცხლით,
წიგნით სტალინზე! ეს ის წიგნია, სად დინამიტი ელავს ნაკვერცხლით!

პროექტი ახალი კონვენციისა სრუტეების რეჟიმის შესახებ

მონტრე, 22 ივნისი. თურქეთის დელეგაციამ მონტრეს კონფერენციის მონაწილეთ დაურიგა პროექტი ახალი კონვენციისა სრუტეების რეჟიმის შესახებ. პროექტი 18 მუხლისაგან შესდგება.

პირველი მუხლი ამბობს, რომ კომერციულ და სამხედრო გემების გავლა სრუტეებში წესრიგდება ამ კონვენციით.

მე-2 მუხლი ითვალისწინებს სრუტეებში კომერციულ გემთა გავლის სრულ თავისუფლებას მშვიდობიან დროს, მხოლოდ იმ ჩვეულებრივი შენიშვნით, რომ გავლისას მოსცემენ სათანადო ცნობებს გემის შესახებ, (გამოტოვებულია) გადახდის შესახებ.

მე-3 მუხლი ითვალისწინებს იმავე წესებს ომის შემთხვევაში და თურქეთის ნეიტრალობის დროს შენიშვნით, რომ ეს უფლებანი განსაზღვრულია იმ ვალდებულებებით, რომლებიც თურქეთისათვის ერთა ლიგის წესდებიდან გამომდინარეობენ.

მე-4 მუხლი ითვალისწინებს, რომ ომის შემთხვევაში, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს თვით თურქეთი, ნეიტრალური გემები ისარგებლებენ იმავე უფლებებით იმ პირობით, თუ ისინი არ დაეხმარებიან თურქეთისადმი მტრულად განწყობილ ქვეყანას და გაივლიან სრუტეში დღისით თურქეთის მიერ ნაჩვენები მარშრუტით.

მე-5 მუხლი აღნიშნავს, რომ აუცილებელია, რათა ყველა კომერციულმა გემმა გაიაროს თურქეთის სანიტარული კონტროლი, რომელმაც ამავე დროს არ უნდა შეაჩეროს ამ გემების მიმოსვლა.

მე-6 მუხლი ითვალისწინებს, რომ მშვიდობიანობის დროს სამხედრო გემებს, წყალქვეშა ნავების გამოკლებით, უფლება აქვთ თავისუფლად გაიარონ დღისით მხოლოდ დამხილად დარბაზობის მიზნით შემდეგი პირობების დაცვით:

ა) ერთი თვით ადრე გაფრთხილებით თურქეთის მთავრობა;

ბ) არა შავიზღვის სახელმწიფოს იმ გემთა მაქსიმალური ტონაჟი, რომლებიც სრუტეებში შემოდიან, არ უნდა აღემატებოდეს 14 ათას ტონას (კრეისერი და 2 ნაღმოსანი) იქით და აქეთ გავლით, თუ თურქეთის ფლოტი არ იმყოფება თავის ბაზაში;

გ) შავზღვაში იმ გემთა საერთო მაქსიმალური ტონაჟი, რომლებიც შავიზღვის სახელმწიფოებს არ ეკუთვნიან, არ უნდა აღემატებოდეს 28 ათას ტონას;

დ) შენიშვნა „ბ“-ში გათვალისწინებული ფლოტილია შეიძლება შედგენილ იქნას სხვანაირად იმ პირობით, თუ დაცული იქნება სხვა წესები მაქსიმალური ტონაჟის შესახებ;

ე) არა შავიზღვის სახელმწიფოთა გემები ვალდებული არიან დასტოვონ შავი ზღვა 15 დღის განმავლობაში;

ვ) სამხედრო გემებს, რომლებიც სრუტეებით მიდიან, უფლება არა აქვთ ისარგებლონ მათ ბაქანზე მყოფი თვითმფრინავებით;

ზ) გემებს, რომლებიც სრუტეებით მიდიან, შეუძლიათ შეჩერდნენ სრუტეებში მხოლოდ ავარიების ან უამინდობის შემთხვევებში.

თ) ზემოაღნიშნული შენიშვნები „ა“, „ბ“, „დ“, „ვ“, „ზ“—ვრცელდება შავი ზღვის სახელმწიფოთა იმ სამხედრო გემებზედაც, რომლებიც ხმელთაშუა ზღვაში მიდიან, ამასთან ამგვარად გასულ ყველა გემს უფლება აქვს დაბრუნდეს შავ ზღვაში იმ პირობით, თუ დაცული იქნება მოთხოვნები სრუტეებით შემავალი გემის ტონაჟის მაქსიმუმის შესახებ. უკეთუ შავი ზღვის სახელმწიფო მოისურვებს გაგზავნის უფრო მეტი ტონაჟის გემი, ვიდრე ეს ზემოთ არის ნაჩვენები, რომლის ტონაჟიც 25 ათას ტონას აღწევს, ამის პირობა იქნება თურქეთის წინასწარი თანხმობა და ხსენებული გემის მარტო გავლა.

მე-7 მუხლი ითვალისწინებს, რომ ომიანობის დროს, როცა თურქეთი ნეიტრალიტეტს იცავს, სამხედრო გემებს ექნებათ თავისუფლად გავლის უფლება ზემოაღნიშნული პირობების დაცვით, მაგრამ მათ ეკრძალებათ აწარმოონ სრუტეებში დაპატიმრებანი, ჩხრეკა ან სხვა სამხედრო მოქმედებანი. გავლის ეს თავისუფლება დამოკიდებულია აგრეთვე თურქეთის ვალდებულებებზე, რომლებიც ერთა ლიგის წესდებიდან გამომდინარეობენ.

მე-8 მუხლი ითვალისწინებს, რომ იმ შემთხვევაში, როცა თურქეთი მონაწილეობას ღებულობს საომარ მოქმედებებში სამხედრო გემების გავლა შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ამის შესახებ იქნება თურქეთის მთავრობის სპეციალური დადგენილება.

მე-9 მუხლის თანახმად, უკეთუ თურქეთი დაინახავს, რომ მას ომის საფრთხე მოელის, მას უფლება ექნება გამოიყენოს მე-8 მუხლი, ამასთან აცნობოს ეს ერთა ლიგას და იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონვენციას (ადს).

◇ ◇ ◇

საფრანგეთის ფაშისტები არ ცხრებიან

პარიზი, 22 ივნისი. ფაშისტები განაგრძობენ ცდას მოაწყონ ქუჩებში დემონსტრაციები და პროვოკაციულად გამოიწვიონ შეტაკებანი. მაგალითად, პარიზში, ტრიუმფალური თაღის მახლობლად, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან ტრადიციული ცერემონიის დროს, რამდენიმე ათასი ფაშისტი, რომლებიც უმთავრესად დაშლილ ორგანიზაციას „ცეცხლოვან ჯვრებს“ ეკუთვნიან, შეეცადა ჩაეშალა მსვლელობა და გაერღვია პოლიციელთა რკალი. ჩაერია პოლიცია. სერიოზულ შეტაკებათა შედეგად ბევრია დაჭრილი. დაიჭრა 3 პოლიციელი, მათგან ერთი მძიმედ არის დაჭრილი. პოლიციამ ბევრი დააპატიმრა.

პარიზის ბევრ უბანში მოხდა შეტაკებანი მუშათა გაზეთების გამყიდველებსა და დაშლილ ფაშისტურ ორგანიზაციათა წევრებს შორის.

ფაშისტები პროვინციაშიც შეეცადნენ ჩაეტარებინათ დემონსტრაცია. ყველგან იწყობოდა სტიქიური კონტრდემონსტრაციები, ნანტსა და სენტ-ეტიენში მოხდა შეტაკება „ცეცხლოვანი ჯვრების“ წევრებსა და სახალხო ფრონტის მომხრეებს შორის (ადს).

◇ ◇

პროექტი იურიდიული სტატუტისა ანტიფაშისტ ემიგრანტებისათვის

პარიზი, 22 ივნისი. დამთავრდა საერთაშორისო კონფერენცია პოლიტემიგრანტთა—ფაშისტური ტერორის მსხვერპლთა თავშესაფარის უფლების საკითხზე. კონფერენციამ მიიღო პროექტი საერთაშორისო იურიდიული სტატუტისა ანტიფაშისტ ემიგრანტებისათვის და აირჩია მუდმივი საერთაშორისო ბიურო, რომელიც დახმარებას გაუწევს მათ თავშესაფარის მიცემის მხრივ.

სპეციალურ რეზოლუციაში კონფერენცია პროტესტს აცხადებს ანტიფაშისტ მოღვაწეთა მოტაცების წინააღმდეგ, რასაც გერმანიის პოლიტიკური პოლიცია მიმართავს (ადს).

◇ ◇

გერმანიის ახალი შინაური სესხი

ბერლინი, 22 ივნისი. გერმანიაში გამოშვებულია ახალი შინაური 4,5 პროცენტიანი სესხი 700 მილიონი მარკის რაოდენობით. 200 მილიონი უკვე განაწილებულია იძულებითი წესით, ხოლო დანარჩენი 500 მილიონი განაწილებული იქნება სპეციალური კონსორციუმის საშუალებით რეიხსბანკის ხელმძღვანელობით. 1935 წლიდან გერმანიაში გამოშვებულია სამი მილიარდი მარკის სესხი (ადს).

(„იზვესტია“)

◇ ◇ ◇

სამხრეთ-დასავლეთ არმიის გაერთიანებული შტაბი

ტოკიო, 22 ივნისი. დომეი ცუსინის სააგენტოს კანტონელი კორესპონდენტი სწერს ამბავს, რომ ხელი შეუშალონ ნანკინის ცდებს შეიჭრას სამხრეთ-დასავლეთ დაჯგუფების ლიდერთა რიგებში, გუანდუნის და გუანსის გენერლებმა 21 ივნისს შექმნეს სამხრეთ-დასავლეთ არმიის საერთო გენერალური შტაბი (ადს).

შანხაი, 22 ივნისი. პრესა ნანკინისათვის აშკარა გამოწვევად სთვლის კანტონში გუანდუნისა და გუანსის ჯარების გაერთიანებული შტაბის დაარსებას. გაერთიანებულ შტაბს მეთაურობს გენერალი ჯენ ძი-ტანი, ხოლო მის მოადგილეებად დანიშნული არიან გენერლები ლი ძუნ-ჟენ და ბაი ძუნ-სი.

სენტრალ ნიუსის სააგენტო უარყოფს ცნობას სამხრეთ დასავლეთ ჯარების უკან-დახევის შესახებ ჰუნანის პროვინციაში და სწერს, გუანსის დივიზიას აქამდე უკავია ქალაქი იუნჯოუ (ადს).

◇ ◇ ◇

რეიტერის სააგენტოს ცნობა

ლონდონი, 22 ივნისი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„საგარეო საქმეთა მინისტრი იდენი დღეს მონაწილეობას ღებულობდა ინგლის-საბჭოთა კავშირის საზღვაო მოლაპარაკებაში. სხდომის დამთავრების შემდეგ განაცხადეს, რომ იდენის ჩარევა მოლაპარაკებაში მომასწავებელია მოლაპარაკების ერთგვარი წარმატების (ადს).

◇ ◇ ◇

შახტის მგზავრობის შედეგები

ლონდონი, 22 ივნისი. „ტაიმსის“ ვენელი კორესპონდენტი აღნიშნავს, შახტის მგზავრობა დუნაისა და ბალკანეთის ქვეყნებში გერმანიისათვის დიდი წარმატებით დამთავრდა.

კორესპონდენტის სიტყვით შახტი ბერლინს დაბრუნდა კონტრაქტებით დატვირთული, „კრედიტორები კი პატივისცემით უყურებენ თავის უდიდეს მოვალეს და შემდეგ უბრუნდებიან მხოლოდ უბრალოდ წვრილ კლიენტებს, რომელთაც მხოლოდ ნაღდად გადახდა შეუძლიათ“.

სამხრეთ-სლავიის რკინიგზათა კომპანიებმა, — განაგრძობს კორესპონდენტი,—200 მილიონი დინარის კონტრაქტი შეუკვეთა შახტს. ამ კონტრაქტებამდე შეკვეთილი იყო კიდევ 400 მილიონი დინარისა. ირჩეოდა აგრეთვე საკითხი გერმანიისათვის სამხრეთ-სლავიაში ავტომობილების შეტანის მონოპოლიის მინიჭების შესახებ.

კორესპონდენტი აღნიშნავს იმ ზიანს, რომელსაც ყოველივე ეს მიაყენებს ინგლისს. ბულგარეთს, რომელსაც ბერლინს უკვე ჰმართებს 8 მილიონ მარკამდე, როგორც ეტყობა, განზრახული აქვს გერმანიაში მოათავსოს თავისი სამხედრო შეკვეთების ორი მესამედი.

„ასე,—სწერს კორესპონდენტი, — საქმე ეხება გერმანიისათვის გაბატონებული მდგომარეობის განმტკიცებას ბალკანეთის მთელი რიგი ქვეყნების საომარი მასალით მომარაგებაში. ეს გამოიწვევს მისი პოლიტიკური გავლენის ზრდას მთელ ნახევარკუნძულზე“.

(„იზვესტია“)

◇ ◇ ◇

იაპონიის პარლამენტის ზედა პალატის „საიდუმლო თათბირი“

ტოკიო, 22 ივნისი. როგორც დომეი ცუსინის სააგენტო სწერს, დღეს გამოირკვა, რომ 21 ივნისს პრინც კონოეს (ზედა პალატის თავმჯდომარე) რეზიდენციაში შესდგა მეტად ხანგრძლივი „საიდუმლო თათბირი“ პრემიერ ხიროტას, ფინანსთა მინისტრ ბაბას და კონოეს მონაწილეობით. საქმის გაცნობილი წყაროები აღნიშნავენ,—სწერს სააგენტო,—რომ თათბირმა, რომელმაც 4 საათს გასტანა, განიხილა „ზედა პალატის სტრუქტურის განზრახული რეფორმის, აგრეთვე სახელმწიფო ადმინისტრაციის საერთო რეფორმების განხორციელების ღონისძიებათა საკითხები“. თუმცა თათბირის პროგრამა და შედეგები არ გამოქვეყნებულა,—სწერს დომეი ცუსინი,—მაგრამ ამ თათბირს მაინც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. (ადს).

ლადო კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში 25 ივნისს საღამოს 8 საათზე ტფილისის აგიტატორების ექიმებისათვის შესდგება ამხანაგ ნ. ილურიძის მოხსენება შემდეგ თემაზე: „აგიტატორის მუშაობა ახალი კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით“.

ედგარ შაინის სურათების გამოფენა

21 ივნისს სომხური კულტურის სახლში (ძერჟინსკის ქ. № 6) გაიხსნა ცნობილი ოფორტისტის ედგარ შაინის სურათების გამოფენა.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ საბჭოთა მხატვრები, მწერლები, ფართო საზოგადოება. სომხური კულტურის სახლის სამხატვრო განყოფილების გამგემ გიგო შერბაბიანმა, რომელმაც გამოფენა გახსნა, თავის სიტყვაში შემდეგი განაცხადა:

— ედგარ შაინი ცნობილი ოფორტისტია. ახალგაზრდობა მან ვენეციაში გაატარა. ოცი წლისა გაემგზავრა პარიზში და პარიზის ჟიულიენის სამხატვრო აკადემიაში შევიდა. აკადემიის წარმატებით დამთავრების შემდეგ შაინი იწყებს დამოუკიდებელ შემოქმედებითს მუშაობას. იგი ეუფლება გრაფიკის რთულ ტექნიკას და საუკეთესო ოფორტისტის სახელს იხვეჭს. 1900 წელს შაინმა პარიზში პირველად გამოჰფინა თავისი სურათები. გამოფენამ უდიდესი შთაბეჭდილება დასტოვა. ახალგაზრდა მხატვარმა მიიღო მაღალი ჯილდო—ოქროს მედალი. 1917 წელს მისი სამი ნამუშევარი გამოფენილი იყო ტფილისში. შემდეგში მან კიდევ გამოგზავნა 21 სურათი, ხოლო მიმდინარე წლის მაისში 170 სხვადასხვა სურათი აჩუქა ერევნის სახელმწიფო მუზეუმს. საბჭოთა კავშირში შაინის სურათების გამოფენას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ჩვენი ახალგაზრდა ოფორტისტები ამით გაეცნობიან ევროპის მიღწევებს ამ დარგში. პირველად სურათების გამოფენა გაიმართა ერევანში, იქიდან გადმოტანილ იქნა ტფილისში, ხოლო შემდეგ კი მოსკოვსა და ლენინგრადში გაიმართება.

ამხ. შერბაბიანის სიტყვის შემდეგ დამსწრე საზოგადოებამ დიდი ინტერესით დაათვალიერა გამოფენა. ტფილისელი მხატვრების ყურადღება მიიპყრო შესანიშნავმა სურათებმა: „მძინარები“, „მათხოვარი“, „გამყიდველი კალათით“, „დამლაგებელი“, „უმუშევარი“, „ლუიზა ფრანს“, „ანატოლ ფრანსის სახლი“, „პოლ ვერლენის პორტრეტი“, ფლობერის წიგნის „ნოემბრის“ ილუსტრაციები და სხვ.

გამოფენაზე სულ წარმოდგენილია 193 ექსპონატი.

◇

სპორტი

ტფილისის პირველობის გათამაშება კრივში

24 ივნისს ტფილისის ცირკის შენობაში დაიწყება ტფილისის ინდივიდუალური პირველობის გათამაშება კრივში. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაშვებული არიან მხოლოდ პირველხარისხოვანი მოკრივეები. შეჯიბრება ჩაივლის ხუთრაუნდიანი სისტემით, რაც მოკრივეებისაგან მეტად სერიოზულ მომზადებას მოითხოვს.

უმსუბუქეს წონაში მეტად საინტერესო იქნება **კალაძისა** და **ზირიაევის** შეხვედრა. ორივენი კარგად არიან მომზადებულნი. მათ შორის შეჯიბრებაში გამარჯვებული ტფილისის ჩემპიონის სახელს მოიგებს.

გორგასლიძე და **მარჯანოვი** გაითამაშებენ პირველობას **უმსუბუქეს წონაში**. ორივენი მოკრივეობის მეტად მაღალი ხარისხით ხასიათდებიან.

ძლიერი ჯგუფი იყრის თავს ნახევრად მსუბუქ წონაში. აქ ერთმანეთს შეეჯიბრებიან: **აველისოვი, ცომაია, კეპინიძე, ლაზარევი** და **ელერდოვი**. დანარჩენ წონებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს **ბედიაშვილი—ონგებაშვილისა, ბაქრაძე—მკაინისა, დარახველიძე—ლედეშიურისა** და **ჩაჟულაევ — ნავასარდოვის** შეხვედრები, რაც გამოავლენს ტფილისის ფლაგმანებს სათანადო წონის კატეგორიებში. შეჯიბრების ჩასატარებლად გამოყოფილია მსაჯთა კოლეგია, რომლის შემადგენლობაშიაც შედიან: ფურცელაძე (მთავარი მსაჯი), ბოზ-ოღლი, პეპინაძე, მარღიანიძე და ყანჩელი.

◇

ახალი ხიდი მდ. მტკვარზე

დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა რკინიგზის სადგურ კავთისხევიდან 5 კილომეტრის დაშორებით მდინარე მტკვარზე ახალი დიდი ხიდის მშენებლობისათვის. ხიდის პროექტის შედგენა უკვე დაამთავრა საქართველოს გზატკეცილების სამმართველომ.

ახალი ხიდი უზრუნველჰყოფს ჭარხლის გამოზიდვას აგარის შაქრის ქარხნისათვის მტკვრის მარჯვენა ნაპირის სოფლებიდან. დღემდე ჭარხლის გამოზიდვა მდინარე მტკვარზე ბორნით სწარმოებდა.

ფოტო ი. მალაფეევისა

ქუთაისის არასრული საშუალო სკოლის მომღერალ მოწაფეთა გუნდი 12 წლის ეთერი ბიბილეიშვილის ხელმძღვანელობით.

ბედნიერი თაობის დიდი ზეიმი

სასწავლო წელი დამთავრდა. მოსწავლე ახალგაზრდობამ უკანასკნელი გამოცდების დროს დიდი წარმატება გვიჩვენა. გამრავლდა სწავლისა და დისციპლინის ფრიადოსანთა რიცხვი, გაუმჯობესდა სწავლების ხარისხი.

წლის განმავლობაში მხნედ მომუშავე მოწაფეები და პიონერები დღეს ტფილისის პარკებსა და ბაღებს, სტადიონებსა და მოედნებს მოედებიან. დღეს მათი ზეიმია, მათი შეხვედრაა.

დილიდანვე ახმაურდება ტფილისი. თავიანთი ორკესტრებით, ცეკვებით, თვითმოქმედი წრეებით, საკარნავალოდ ჩაცმული ჯგუფებით ტფილისის სკოლების მოწაფეები მიაშურებენ ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკს.

პარკი ღირსეულად დახვდება თავის სტუმრებს. საგანგებოდ მორთულ მოედნებზე აღიმართება ახალი თაობის უდიდესი მოამაგეების—ლენინისა და სტალინის მხატვრულად გაფორმებული პორტრეტები. აქვე იქნება საქართველოსი და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ნაცადი ხელმძღვანელის, პიონერებისა და ბავშვების დიდი მეგობრის ამხ. ლ. ბერიას სურათი.

კულტურისა და დასვენების პარკის რადიო-კვანძი ქართულ, რუსულ, სომხურ და თურქულ ენებზე მიესალმება მოზეიმეებს. პარკის ჩვიდმეტსავე მოედანზე გაიმართება სხვადასხვაგვარი თამაშობა. ფიზკულტურული ვარჯიშობა.

დღის განმავლობაში მოეწყობა სამი კონცერტი, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ ხელოვნების საუკეთესო მოღვაწენი: ნიკო გოცირიძე, უშანგი ჩხეიძე, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, სანდრო ინაშვილი, სალარაძე, ჯაფარიძე, ლადო კავსაძე, ბრაგინი, სევასტიანოვი და სხვ.

მთელი დღის განმავლობაში არ მოიწყენენ ჩვენი ბავშვები. მათი ხმა: „მადლობა დიდ სტალინს ბედნიერი და მხიარული ბავშვობისათვის“—გააღვიძებს არემარეს.

დღის 3½ საათზე სიმღერითა და მუსიკით დასტოვებენ ისინი პარკს და პლეხანოვის პროსპექტით შინ გაეშურებიან.

◇ ◇

94 ფუთი ხორცი ერთ დედა ღორზე

კასპი. ცემენტის ქარხანასთან არსებობს მეღორეობის ფერმა 15 დედა-ღორით. შარშან ერთი დედაღორი დააყენეს განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ. წესიერად ჰკვებავდნენ და უვლიდნენ. უნდოდათ გაეგოთ, თუ რამდენი ხორცის მოცემა შეეძლო ასეთ პირობებში. ეს ღორი ორჯერ დაგოჭიანდა ერთი წლის განმავლობაში და 19 გოჭი მოიგო. ამ რამდენიმე დღის წინათ ასწონეს და მარტო გოჭები 94 ფუთი გამოვიდა. მეღორეობის ფერმამ ერთი წლის განმავლობაში გეგმის გადამეტებით 112 გოჭი გამოზარდა.

ვეტექიმი ზ. ედილაშვილი

◇

ტფილისის საბავშვო ბაღებში

პაპანაქება სიცხემ ტფილისის მიდამოებს ალმური მოსდო. მშრომელთა ბავშვებმა მათთვის საგანგებოდ მოწყობილ მოედნებსა და ბაღებს მიაშურეს. ტფილისში 105 საბავშვო ბაღია. 10 ათასზე მეტი ბავშვი წესრიგს ეჩვევა ამ ბაღებში, თამაშობს, ერთობა, სწავლობს.

ტფილისის ბაღებსა და პარკებში ბავშვთა გამაჯანსაღებელი 40-ზე მეტი მოედანი ეწყობა. ოთხი ათასი ბავშვი დაისვენებს აქ. მათთვის ყველაფერია გაკეთებული. ფიზკულტურული იარაღები, ხელსაწყოები, სათამაშოები, ალისკოპები, თოჯინების თეატრი. მრავალფეროვანი და შინაარსიანი იქნება მათი გართობა-დასვენება.

განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ ფიზიკურად სუსტ ბავშვებზე. მანგლისის სანატორიული ტიპის დასასვენებელ სახლში 270 ბავშვი გაგზავნება, კოჯორში—470, აბასთუმანში — 100, სურამში—50, წაღვერში — 50, ხოლო ანაპის (შავ ზღვის სანაპირო) კურორტზე ზაფხულს გაატარებს 50 ბავშვი.

გარდა ამისა, ტფილისის განათლების განყოფილებამ სკოლის ასაკამდე აღზრდის კოოპერაციის დასასვენებელ სახლებში 40 საგზური შეიძინა. მარტო ტფილისის განათლების განყოფილება სკოლამდელი ასაკის ბავშვთა საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობისათვის 600 ათას მანეთზე მეტს დახარჯავს.

◇

სახლი თავზე გვენგრევა

უკვე მეორე წელია, დავითაშვილის ქ. (ტფილისი) № 29 სახლის მობინადრენი თავს აბეზრებენ კიროვის რაიონის სახლთა ტრესტს. ისინი ატყობინებენ, რომ სახლი დანგრევის პირადაა მისული და მობინადრეთა სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

იმის თქმა არ შეიძლება, რომ სახლთა ტრესტის მუშაკებს არავითარი ყურადღება არ მიექციოთ მობინადრეთა ჩივილისათვის. ტრესტის ხელმძღვანელობამ სახლის შესამოწმებლად გამოჰყო ტექნიკური კომისია და მისი დასკვნის საფუძველზე საჭიროდ სცნო სახლის დაჩქარებით შეკეთება.

მაგრამ ეს მხოლოდ საუწყებო მოვალეობის მოხდა იყო რეზოლუციის საშუალებით.

რეზოლუციამ კი სახლს ვერაფერი უშველა. ამ გაზაფხულის კოკისპირულმა წვიმებმა მას თავისი დაღი დაამჩნია.

საინტერესოა, რას ფიქრობს სახლთა ტრესტი?

კაბაროვი.

ერთი კარისა და აბაზანის ისტორია

ბრაგვის შესახვევში № 14, ძველებურ არქიტექტურულად ნაგებ ერთ ბინაში ცხოვრობს ორი ოჯახი—მოქ. ლოსკუტოვისა და ს. კიკნაძისა. თვითეულს თითო ოთახი უჭირავს. ბინას საერთო საპარადო კარი და აბაზანა აქვს, მაგრამ საპარადო კარი მხოლოდ ლოსკუტოვს აქვს დასაკუთრებული, კიკნაძე კი ეზოდან დადის... ლოსკუტოვს შესასვლელი საკუთნოდ გადაუქცევია და მუდამ დაკეტილი აქვს. ასევე დასაკუთრებული აქვს მას აბაზანაც, რომლით სარგებლობის უფლებას კიკნაძეს არ აძლევს.

15 წელიწადია, რაც ასეთი მდგომარეობა გრძელდება. კიკნაძე ერიდებოდა მეზობლებთან ურთიერთობის გამწვავებას და არ განუცხადებია პრეტენზია საერთო შესასვლელსა და აბაზანაზე. შარშან კი სთხოვა მეზობელს მიეცა საერთო კარიდან სიარულისა და აბაზანით სარგებლობის ნება, მაგრამ ლოსკუტოვის უარს წააწყდა. რაკი საკითხი კეთილმეზობლურად არ მოგვარდა, კიკნაძემ დახმარებისათვის სათანადო ორგანოებს მიმართა. საქმე განსახილველად გადაეცა ორჯონიკიძის რაისასამართლოს. საქმეს დართული ჰქონდა სახანძრო დაცვისა და საექსპერტო კომისიის დასკვნები მოთხოვნით, რომ ხანძრის საფრთხის თავიდან ასაცილებლად სადარბაზო კარი გაეხსნათ.

საქმის გარჩევაც დაინიშნა. ამ დასკვნების შემდეგ თითქოს ბევრი სჯა არ უნდა დასჭირებოდა ამ ნათელ და აშკარა ამბავს, სასამართლოსაც უნდა დაემტკიცებინა ექსპერტების დასკვნა და საქმე გაეთავებინა, მაგრამ ასე როდი მოხდა.

გასული წლის 14 დეკემბერს (ეს საქმე 1935 წ. ნოემბერში დაიწყო) კიკნაძეს მისდის სასამართლოს უწყება, გამოცხადდით, თქვენი საქმე ირჩევაო. მივიდა მაძიებელი დანიშნულ დღეს სასამართლოში, მაგრამ პროცესის ნაცვლად მას უკვე გამოტანილი განაჩენი დახვდა (?!), 13 დეკემბერს გაურჩიათ საქმე.

განაჩენში, რომელსაც ხელს აწერს სახალხო მოსამართლე **თურქია**, გატარებულია ასეთი აზრი: კიკნაძეს 15 წლის განმავლობაში არ აღუძრავს „პოდიეზდის“ საკითხი და ახლა რით ასტეხათ. მოსამართლის აზრით, კიკნაძეს ამ საკითხის აძვრის უფლება არ ჰქონია. რომ ამ „სიბრძნეს“ გამართლება მოუნახოს, მოსამართლე დასძენს, „თუ სადაო ფართობი (რომელ ფართობზეა ლაპარაკი არ ვიცით, ლოსკუტოვს ხომ საცხოვრებელ ფართობს არ ედავებიან) გახდება საერთო სარგებლობის, მაშინ რასაკვირველია (?!) ლოსკუტოვის ინტერესი იქნება შებღალული და ნაწილობრივ გამოიწვევს შევიწროვებას, რაც ეწინააღმდეგება საქ. ცაკის და სახკომსაბჭოს 1933 წლ. 22/II დადგენილებას“ (ამასაც კანონის მიმარჯვება ჰქვიან!).

...და ყოველივე ზემოაღნიშნულისა გამო სასამართლომ დაადგინა: მოქ. კიკნაძეს უარი ეთქვას ძიებაში, სადაო ფართობი (!?) და აბაზანა დარჩეს პირველი ლოსკუტოვის განკარგულებაში და მეორე კი ლოსკუტოვის და გლურჯიძის სარგებლობაში ([illegible] ლოსკუტოვი და მეორე მობინადრე გლურჯიძე სარგებლობენ).

მაგრამ სადაო ფართობს რა მოუხერხოს [illegible] გააკეთოს, ხანძარი მაინც მოითხოვს, მაშასადამე უნდა შესრულდეს. მაშ რის „მოსამართლეა“ თურქია, თუ ამ საქმეს ვერ მოუარა. აი, ნახეთ:

„ხოლო მოსალოდნელ უბედურ შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით (ნაგულისხმევია ხანძარი) დაევალოს მოპასუხე ლოსკუტოვს გადაკეტილ კარზე არ მიადგას მძიმე **ბოჯხოს ნივთი** „ვკითხულობთ განაჩენში. (განაჩენიდან ამონაწერის სტილი ყველგან მოსამართლისაა).

ესეც „მოსამართლის“ მეორე „სიბრძნე“! ის გასაღებს ლოსკუტოვს აძლევს, იმავ ნებასაც რთავს, რომ კარები გადაკეტილი იქონიოს და ეუბნება—„ბოჯხო“ ნივთები არ მიადგაო. გკითხავთ განა თქვენ ამას ლოსკუტოვი, „პატივცემულო მოსამართლევ“? მოისურვებს „ბოჯხოს“ მიადგამს და მოინებებს, თქვენის იმედით, სულაც ამოაშენებს კარს.

კიდევ კარგი, რომ თურქიამ გასაჩივრების უფლება მაინც დაუტოვა მაძიებელს, თორემ ხომ მოისპობოდა კაცი!

წარმოუდგენელი იყო მაძიებლისათვის საქმის ამგვარად შეტრიალება. მან მიმართა უზენაეს სასამართლოს, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც მოსტყუვდა, იქაც გადაელობნენ „ბებიები“ კანონიერებას.

უზენაესმა სასამართლომაც ამხ. **გრ. ხვანეძის** თავმჯდომარეობით და წევრთა ამხ. **ხატიაძისა** და **მირიანაშვილის** მონაწილეობით უცვლელად დასტოვა მოქ. კიკნაძის ძიება. მაგრამ აქ საქმე ისაა, რომ თავმჯდომარე არ დაეთანხმა წევრებს და მან თავისი განსაკუთრებული აზრი ჩასწერა განაჩენში ამხ. სვანიძე მოიქცა ისე, როგორც შეეფერება საბჭოთა მოსამართლეს, საკითხს ობიექტურად მიუდგა და სათანადო დასაბუთებით დაასკვნა, მაძიებელს უფლება აქვს ისარგებლოს საერთო კარითა და აბაზანით. მაგრამ ეს მისი კერძო აზრი იყო, თუმცა ყველაზე სწორი და მართებული.

ამხ. კიკნაძემ დახმარება სთხოვა „კომუნისტის“ რედაქციას. რედაქციამ ეს ამბავი რესპუბლიკის პროკურორს აცნობა. ამხ. რამიშვილმა მდგომარეობის ადგილობრივ შესამოწმებლად გამოჰყო კომისია, რომელშიაც რედაქციის წარმომადგენელიც იყო. კომისიის დასკვნითაც კიკნაძეს უნდა ესარგებლნა საერთო კარითა და აბაზანით. მაგრამ ეს საკითხი აქამდე მაინც გადაუწყვეტელია.

აქ წერტილი უნდა დაგვესვა, თორემ ამ საქმის ისტორიის აწერა შორს წაგვიყვანს, ისედაც გაგვიგრძელდა სიტყვა.

დასკვნა ვისიც ჯერ არის, იმან გააკეთოს.

ა. ტ.

◇

ქრონიკა

— **საქ. ექიმთა საზ-ბის სხდომა.** 25 ივნისს, საღამოს 8 ნახ. საათზე, ტუბერკულოზის ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. №16) დანიშნულია საქ. ექიმთა საზ-ბის გაერთიანებული სხდომა. დღის წესრიგშია პროფ. ნათიშვილის, უფროსი მეცნ. მუშაკის აბდუშელიშვილის მოხსენებანი და დელეგატების არჩევა ექიმთა საზ-ბის ყრილობაზე.

— **ტფილისის სახ. უნივერსიტეტში** (აუდ. № 86) 25 ივნისს, საღ. 7 ს. გაიმართება ტფილისში საწარმოო პრაქტიკაზე მყოფი ეკონომ. ფაკულტეტის სტუდენტთა და მათ ხელმძღვანელ პროფესორ-მასწავლებელთა თათბირი.

შემთხვევები

# **ხანძარი.** 22 ივნისს, საღამოს 9 საათსა და 30 წუთზე № 1 ლუდის ქარხნის საზარშ განყოფილებაში (კამოს ქ. № 68) გაჩნდა ხანძარი. ცეცხლი მალე გავრცელდა ქარხნის ტერიტორიაზე და მოედო ქარხნის შენობის მნიშვნელოვან ნაწილს. ხანძრის ჩაქრობაში მონაწილეობას იღებდა ქალაქის ყველა სახანძრო ნაწილი. ხანძარი ჩააქრეს ღამის 12 საათისათვის. ხანძრის გაჩენის მიზეზსა და ზარალს არკვევენ.

პარტკალენდარი

ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს წინადადება ეძლევათ გამოცხადდნენ საქართველოს ც. კ-ში (ამხ. დოლიძის კაბინეტი) საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს სააპელაციო კომისიის სხდომაზე ა.-წ. 25 ივნისს დილის სრულ 10 საათზე:

ლენინის რაიონიდან: ამხ. ა. ა. კარაპეტიანცი, კ. პ. ბერაძე, გ. დ. კირილენი, გ. ს. ყაზაროვი, ბ. მ. გრიგორიევი, ა. ნ. ალანოვი, გ. ი. კეკელაშვილი, ა. ი. გოზალიშვილი.

ორჯონიკიძის რაიონიდან: ამხ. ნ. გ. ტყემალაძე, ნ. ა. ხანდამოვი, ი. კ. პეტროვი, ა. გ. დუმბაძე, ი. ნ. ნიკოლაიჩუკი, ტ. დ. თოდრაძე, დ. ს. ზურაბიძე, ს. პ. გოზალიშვილი, მ. ი. გოგიჩაიშვილი, მ. გ. გევორქიანი, დ. ი. გოგიტაშვილი, რ. ი. ჩიხილეიშვილი, ი. ს. მოისეევი, ვ. ვ. ცინცაძე, ნ. ხ. მანუკოვი, ზ. მ. მჭედლიძე, მ. ნ. კორკოტაშვილი, კ. ი. ხუბუა, მ. მ. აბულაძე, გ. ტ. ბაძაღუა, ი. ა. ლურსმანიშვილი, ა. ს. ბეგიაშვილი, შ. ი. ბაქრაძე, გ. ლ. ნადირაშვილი, ს. გ. საგინაძე, ა. ე. გველაძე, ი. ზ. პიკაძე, გ. პ. ნიკაბაძე, ი. დ. იორდანიძე, ე. ი. ფარჯიანი, დ. დ. ბადრიძე, ა. ს. სუპრუნოვი, ს. მ. მოისეევი.

კეცხოველის სახელობის პროპაგანდისა და აგიტატორის სახლში.

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი: კონსულტაცია პარტიის ისტორიის ძირითადი ეტაპების წრეთა პროპაგანდისტებისათვის „სსრ კავშირში სამოქალაქო ომის ისტორიის“ გამოყენების შესახებ თემაზე: „თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია“ საღამოს 7 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი: კონსულტაცია ტფილისის ტრამვაის აგიტატორებისათვის თემაზე: „სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი“. საღამოს 8 საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი: კონსულტაცია თემაზე — „საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი საარჩევნო უფლება ფარული კენჭისყრით“ საღამოს 8 საათზე.

საქ. ალკკ კაბინეტი: 25/VI საღამოს 7 საათზე კონსულტაცია კომკავშირული პოლიტსწავლების პროპაგანდისტთათვის თემაზე—„სოციალიზმი და კომუნიზმი“. მოწვეული არიან ტფილისის ორგანიზაციის კომკავშირული პოლიტსწავლების პროპაგანდისტები.

დღეს 24 ივნისს დილის 11 საათზე

ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი (ყოფ. მუშთაიდი)

მოსწავლის საერთო საქალაქო დღესასწაული

(სასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებით).

სახალხო და დამსახურებულ არტისტთა კონცერტი. სასკოლო მხატვრული თვითმოქმედების ჩვენება. სახალხო რბენა, მასობრივი თამაშობანი, ფ.-კ. ბურთები და ატრაქციონები. ხალხური, სიმღ. ორკესტრები. საბავშვო რკინიგზა. (ბილეთები გაიცემა სკოლებში).

მასობრივი საკარნავალო მსვლელობა კოსტიუმებში. მხატვრული თვითმოქმედების მონაწილენი და ყველა კოსტიუმირებული მიიღებენ კიოსკებში ცოცხალ ყვავილებს. დღესასწაულის დასაწყისი დილის 11 საათზე. 620

[illegible]		
	ოქტომბერი 6-30, 8, 9-30, 11	ხმოვ. მხატვრული ფილმი „მე დავბრუნდები“
	დამკვრელი საზ.-საზამ. 6-30, 8-30, 10-30	ხმოვანი ფილმი „ცირკი“. საგანგებო გამოშვება „ა. მ. გორკის ხსოვნას“
	კომკავშირელი საზ. საზამ. 6-30, 8-30, 10-30	ახალი ხმოვანი ფრანგული ფილმი „უკანასკნელი მილიარდერი“
	რ. ლუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30	ახალი ევზ. ხმოვანი ფილმისა „ოქროს ტბა“
	საზაფხ. ეთერი დასაწყ. საღ. 9 ს.	ახალი ხმოვ. ფილმი „კონდუიტი“ მ. კასილის წიგნის მოტივების მიხედვით
	26 კომ. სახ. საზ.-საზამ.	ხმოვანი კომედია „ერთ ზაფხულს“
	კომინტერნი საზაფხ.	ხმოვანი ფილმი „ელისო“
	ახალი ამბები დასაწყისი 6-30 წ.	1) საგანგებო გამოშვება „ა. მ. გორკის ხსოვნას“, 2) ნორჩი ტალანტები, 3) ხმოვ. ჟურნ. № 5.

საქ. ს. ს. რ. სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო აცხადებს, რომ 25 ივნისს საღამოს 7 საათზე

შესდგება ხმების კონკურსი

ახლად დაარსებულ სახელმწიფო კაპელაში

ამხ. შ. კუხიანიძის ხელმძღვანელობით.

განცხადებები როგორც ტფილისში, ისე სხვა ქალაქებში მცხოვრებ მომღერალთაგან მიიღება 24 ივნისამდე საბჭოთა კომპოზიტორების კავშირში (ლერმონტოვის ქუჩა № 18).

კაპელის მსახიობთა ხელფასი 200-დან 500 მანეთამდე. 2-2 15036

საქ. სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის

დაუსწრებელი სწავლების და კვალიფიკაციის ამაღლების განყოფილებაზე

1936-37 სასწავლო წელს

მიღების პირობები:

1. ახალი ნაკადის მიღებას განყოფილება აწარმოებს: აგრონომიულ, მებაღეობა-მევენახეობის, სუბტროპიკულ, საინჟინერო-მექანიზაციის და ეკონომიურ ფაკულტეტებზე.
2. განყოფილებაში მიიღებიან ის პირნი, რომელნიც მუშაობენ მიწსახკომის სისტემაში (რაიმიწგ.-ნში, საბჭოთა მეურნეობაში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში, კოლმეურნეობებში და სხვა).
3. მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან ორივე სქესის მოქალაქენი 17 წლიდან 45 წლამდე, რომლებსაც მიღებული აქვთ საშუალო განათლება. გამოცდები იწარმოებს ქართულში, რუსულში, მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, გეოგრაფიაში და პოლიტცოდნაში.
4. უგამოცდოდ მიიღებიან ის პირები, რომელთაც საშუალო სკოლა ფრიადზე აქვთ დამთავრებული.
5. განყოფილებაში შესვლის მსურველნი ვალდებულნი არიან შემოიტანონ (მისამართით: **ტფილისი, ვაკე სახ.-სამ. ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილება**) განცხადება შემდეგი საბუთების თანდართვით: ატესტატი (დედანი), დაბადების მოწმობა, მივლინების მომართვა მუშაობის ადგილიდან პარტიული ან პროფესიული ორგანიზაციისაგან, დახასიათება მუშაობის ადგილიდან, სათანადოდ დადასტურებული ანკეტა და ორი ფოტოგრაფიული სურათი.
6. განცხადებების მიღება იწარმოებს 1 ივლისიდან 1 აგვისტომდე. გამოცდები იწარმოებს 10 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

618 დირექცია.

ტფილისის რუსული ენისა და ლიტერატურის

პედტექნიკუმი

1936—37 სასწავლო წლის მიღების პირობები

1. რუსული ენისა და ლიტერატურის პედტექნიკუმი ამზადებს რუსული ენის მასწავლებლებს დაწყებითი სკოლებისათვის (3—5 კლ.).
2. პედტექნიკუმში მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ქართული ენის მცოდნე ახალგაზრდები (15 წლიდან).
3. არასრულ საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები ტექნიკუმის მსმენელებად ჩაირიცხებიან უგამოცდოდ.
4. ტექნიკუმთან 5 10 ივლისიდან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის გაიხსნება მოკლევადიანი გადასამზადებელი კურსები.
5. ტექნიკუმში მისაღები გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში: ქართულში, რუსულში, არითმეტიკასა და ალგებრაში (წერა და ზეპირი), გეომეტრიაში, კლასთა ბრძოლასა და გეოგრაფიაში (ზეპირი).
6. ტექნიკუმში მისაღებ გამოცდებზე დაშვების შესახებ განცხადებების მიღება იწარმოებს 25 ივნისიდან 20 აგვისტომდის.
7. განცხადებებს მიიღებს პირადად დირექტორი ან მისი შემცვლელი. შეიძლება განცხადებათა ფოსტით გადმოგზავნაც.
8. მისაღები გამოცდები იწარმოებს 22-დან 29 აგვისტომდის.
9. წარმოდგენილ უნდა იქნეს შემდეგი საბუთები: 1) დაბადების მოწმობა, 2) განათლების მოწმობა და 3) ორი ფოტოგრაფიული სურათი.
10. პედტექნიკუმის სტუდენტები მიიღებენ სტიპენდიას საერთო წესით, ისარგებლებენ იაფფასიანი სასადილოთი და საუზმით, ჩაირიცხებიან განათლების მუშაკთა კავშირში და ისარგებლებენ კავშირის წევრის ყოველგვარი უფლებით.

მისამართი: ტფილისი, ბელგიის ქუჩა, № 4.

15069 ტექნიკუმის დირექტორი: ს. არტილაყვა.

ექიმი ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის დაავად.

მიღება დილის 8—9 ს. და საღ. 6—8 საათ.

მისამართი: კამოს ქ. № 72.

საქმაზპროექტის სამკურნალო და მოსამსახურეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ამხ. სიმა ჭოხონელიძე-თხილაძის დედის

მართა კონსტანტინეს-ასულ თხილაძის

გარდაცვალებას. 15063

ტფილისის ქართული [illegible] პედტექნიკუმის ადმინისტრაცია, ადგილკომი, მასწავლებლები და მსმენელები იუწყებიან ამავე ტექნიკუმის მასწავლებლის, არტემ ჩიჩუას მამის

ერმილე გრიგოლის-ძე ჩიჩუას

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს ს. ოფეთში (სამტრედია). 15052.

დედა ანნა, ძმა ლევან, რძალი ნინო, ძმისშვილი მაყვა ლლონტები იუწყებიან, რომ 24 ივნისს 5 ნახ. ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია

ალექსანდრე დიმიტრის-ძე ლლონტის

სამოქ. პანაშვიდი. 15031

ამხანაგები: ერქომაიშვილი, კომახიძე, მგალობლიშვილი, ნიკოლაიშვილი, წვეხიევი, ბეგიაშვილი, მგელაძე, სიმონია, ხოვანი, რუსიშვილი, მჭედლიძე, გოგუა, ბედიაშვილი, ტრაპაიძე, სიხარულიძე, ბაბილუა იუწყებიან საქ. მუქსის პროკურორის ანდრო დარახველიძის მამის

კოწია დარახველიძის

გარდაცვალებას. 15048

დამწუხრებული მეუღლე ექიმი ლიუბა (ციალა) პავლეს-ასული ჯიქია — კუპრაძისა იუწყება, რომ 28 ივნისს ნატანებში (გურია) ს. სამხვთოში დანიშნულია დაუვიწყარი მეგობრის

[illegible] ხილოვანის-ძე კუპრაძის

სამოქ. პანაშვიდი. 14959.

დედა ალათი, ცოლი ანნა, შვილები: ნიორა, გივი, რეზო, ძმა სერგო რძლები: პელო, ვერა, თამარ, ძმისწულები ლენა, როზა, კარლო, ლეილა, ახლობლები იუწყებიან

მოშა ახობაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა კუკიაში ოცდახუთს. 15059.

მიშა, შალვა, ანნა, მერი, ნინო, ოლიკო, ბლიკო იუწყებიან, რომ 24 ივნისს 1 საათზე კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია დის, მამიდის

ლიუბა იაკინთეს-ასულ ცქიტიშვილი—ლოლობერიძის

სამოქ. პანაშვიდი. 15065.

ცოლი ფიდოსი, შვილები: დანიელ, ნინო, ევგენი, ვერა, რძალი კლარა შვილებით, ძმა ერმალო ოჯახით, სიძე ემელიანე სამსონაძე შვილებით იუწყებიან

გოგო ანტონის-ძე მიზრელიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ოცდახუთში ჩოხატაურში, ძნელაძის, 6. 15061

დამწუხრებული ძმა კოწია (ბურლუკა) აბაშიძე მეუღლე კლეოპატრით, და ქეთო მწუხარებით იუწყებიან ნაცნობებ-მეგობრებს, რომ ქ. ლენინგრადში გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

თამარ ანდრიას ასული აბაშიძე — თარხნიშვილისა.

15070

ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული Დ 8506